



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2013. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2013. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

სასამართლო (პლენარული)

ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

(საჩივარი no. 5493/72)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

7 დეკემბერი, 1976

ჰენდისაუდის საქმეში

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სასამართლოს რეგლამენტის 48-ე მუხლის შესაბამისად პლენუმის სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებით, მოსამართლეთა შემდეგი შემადგენლობით:

ბ-ნი ჯ. ბალადორე პალიერი, *პრეზიდენტი*,

ბ-ნი ჰ. მოსლერი, ს

ბ-ნი მ. ზეკია,

ბ-ნი გ. ვიარდა,

ქ-ნი ჰ. პედერსენი,

ბ-ნი თორ ვილიალმსონი,

ბ-ნი ს. პეტრენი,

ბ-ნი რ. რისდალი,

ბ-ნი ა. ბოზერი,

ბ-ნი ვ. განშოფ ვან დერ მეელში,

სერ ჯერალდ ფიტსმორისი,

ქ-ნი დ. ბინდშედლერ-რობერტი,

ბ-ნი დ. ევრიჯენისი,

ბ-ნი ჰ. დელვო,

და, აგრეთვე, ბ-ნი Mმ. ა. ეისენი, *გამწესრიგებელი*, და ბ-ნი ჰ. პეტსოლდი, *გამწესრიგებლის მოადგილე*,

1976 წლის 8 და 9 ივნისსა და 2-დან 4 ნოემბრამდე გამართული საიდუმლო თათბირის შედეგად

აცხადებს შემდეგ გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულია ბოლოს მოხსენიებულ დღეს.

პროცედურა

1. ჰენდისაუდის საქმე სასამართლოს გადასცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ (ამიერიდან მოხსენიებულია როგორც “კომისია”). საქმეს საფუძვლად დაედო საჩივარი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, რომელიც შეტანილი იქნა კომისიაში 1972 წლის 13 აპრილს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (ამიერიდან მოხსენიებულია როგორც “კონვენცია”) 25-ე მუხლის შესაბამისად გაერთიანებული სამეფოს მოქალაქის, ბ-ნი რიჩარდ ჰენდისაუდის მიერ.

2. კომისიის მოთხოვნა, რომელსაც თან ახლდა ანგარიში კონვენციის 31-ე მუხლის (მუხლი 31) შესაბამისად, სასამართლოს გამწესრიგებელთან შეტანილი იქნა 1976 წლის 12 იანვარს, 32-ე მუხლის 1 ნაწილითა და 47-ე მუხლით (მუხლი 32-1, მუხლი 47) გათვალისწინებულ სამთვიან ვადაში. მოთხოვნაში მითითებული იყო 44-ე და 48-ე მუხლები (მუხლი 44, მუხლი 48) და გაერთიანებული სამეფოს განცხადება სასამართლოს სავალდებულო იურისდიქციის აღიარების შესახებ (მუხლი 46). კომისიის მოთხოვნის მიზანს წარმოადგენდა სასამართლოს მხრიდან გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, ააშკარავებდა თუ არა საქმეში არსებული ფაქტები მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის მე-10 მუხლისა და 1952 წლის 20 მარტის ოქმის (ამიერიდან მოხსენიებულია

როგორც “ოქმი No. 1”) პირველი მუხლის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების დარღვევას.

3. 1976 წლის 20 იანვარს, სასამართლოს პრეზიდენტმა, გამწესრიგებლის თანდასწრებით, წილისყრის მეშვეობით გამოავლინა იმ შვიდი მოსამართლიდან ხუთი მოსამართლის გვარი, რომლებიც მოწვეულნი იყვნენ პალატის წევრებად; სერ ჯერალდ ფითსმორისი, ბრიტანული მოქალაქეობის მქონე არჩეული მოსამართლე, და ბ-ნი გ. ბალადორე პალიერი, სასამართლოს პრეზიდენტი, იყვნენ ex officio წევრები კონვენციის 43-ე მუხლისა (მუხლი 43) და სასამართლოს რეგლამენტის 21-ე მუხლის 3(b) ნაწილის შესაბამისად. ამგვარად დანიშნული ხუთი მოსამართლე კი იყო: ბ-ნი ჰ. მოსლერი, ბ-ნი მ. ზეკია, ბ-ნი გ. ვიარდა, ქ-ნი ჰ. პედერსენი და ბ-ნი ს. პეტრენი (კონვენციის 43-ე მუხლი და რეგლამენტის 21-ე მუხლი) (მუხლი 43).

ბ-ნმა ბალადორე პალიერმა იკისრა პალატის პრეზიდენტობა რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად.

4. პალატის პრეზიდენტმა გამწესრიგებლის მეშვეობით გამოარკვია გაერთიანებული სამეფოს მთავრობის აგენტისა და კომისიის წარმომადგენელთა მოსაზრებანი იმის თაობაზე, თუ რა პროცედურას უნდა მიჰყოლოდნენ. მათი დასკვნითი განცხადებების მხედველობაში მიღებით, პრეზიდენტმა, თავისი 1976 წლის 6 თებერვლის ბრძანებით გადაწყვიტა, რომ ამ ეტაპზე აუცილებელი არ იყო დაზუსტებული მოსაზრებების წარდგენა. მმან ასევე დაავალა გამწესრიგებელს, მოეწვია კომისია განსაზღვრული დოკუმენტების წარმოსადგენად და ეს დოკუმენტები გამწესრიგებლის მიერ მიღებულ იქნა 11 თებერვალს

5. 1976 წლის 29 აპრილს პალატამ რეგლამენტის 48-ე მუხლის საფუძველზე გადაწყვიტა თავისი იურისდიქცია დაეთმო პლენარული სასამართლოსათვის, რამდენადაც “მიიჩნია, რომ საქმე აღძრავდა კონვენციის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს ...”.

6. იმავე დღეს, სასამართლომ გამართა მოსამზადებელი შეხვედრა პროცედურის ზეპირი სტადიის საკითხის გადასაწყვეტად. ამ შეხვედრაზე მან შეიმუშავა შეკთხვების ჩამონათვალი, რომელიც გაუგზავნა კომისიასა და მთავრობას და მოითხოვა მათგან წარმოედგინათ გამოთხოვილი ინფორმაცია თავიანთი დაზუსტებული მოსაზრებების გადმოცემისას.

7. კონსულტაციების შემდეგ, პრეზიდენტმა, 1976 წლის 3 მაისის ბრძანებით გადაწყვიტა, რომ საქმის ზეპირი მოსმენა დაწყებულიყო 5 ივნისს.

8. საქმის ზეპირი მოსმენა გაიმართა საჯაროდ, ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 1976 წლის 5 და 7 ივნისს.

სასამართლოს წინაშე გამოცხადდნენ:

- მთავრობის მხრიდან:

ბ-ნი ფაიფუტი, სამართლებრივი მრჩეველი,

უცხოეთისა და თანამეგობრობის უწყება, ადვოკატი
აგენტი და მრჩეველი,
 ბ-ნი გ. სლინი, დედოფლის მრჩეველი, ჰერეფორდის საგრაფოს
 რეგისტრატორი,
 ბ-ნი ნ. ბრატცა, ადვოკატი, *მრჩეველი,*
 ბ-ნი ა. ჰ. ჰამონდი, სამართლებრივი მრჩეველის თანაშემწე,
 ბ-ნი ჯ.ს. დავი, დირექტორი, საშინაო უწყება, *მრჩეველი,*

-კომისიის მხრიდან:

ბ-ნი გ. სპერდუტი, *მთავარი დელეგატი,*
 ბ-ნი ს. ტრეხსელი, *დელეგატი,*
 ბ-ნი ს. თორნბერი, რომელიც წარმოადგენდა მოსარჩელეს
 კომისიის წინაშე, დელეგატების დასახმარებლად
 რეგლამენტის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის
 პირველი წინადადების შესაბამისად.

სასამართლომ მოისმინა მთავრობის მხრიდან ბ-ნი ფაიფუტისა და ბ-ნი ს. სლინლის, ხოლო კომისიის მხრიდან ბ-ნი სპერდუტის, ბ-ნი ტრეხსელისა და ბ-ნი თორნბერის მიმართულები და წარდგენილი მოსაზრებები, ისევე როგორც, მათი პასუხები სასამართლოსა და რამდენიმე მოსამართლის მიერ დასმულ შეკითხვებზე.

ფაქტების შესახებ

ისტორია

9. მოსარჩელე, ბ-ნი რიჩარდ ჰენდისაიდი, არის მესაკუთრე საგამომცემლო ფირმისა "Stage 1", რომელიც მან დააფუძნა 1968 წელს ლონდონში. სხვა წიგნებთან ერთად, მან გამოაქვეყნა "პატარა წითელი სახელმძღვანელო" (ამიერიდან მოხსენიებულია, როგორც "სახელმძღვანელო", რომლის თავდაპირველი ორიგინალური ვერსიაც გახდა წინამდებარე საქმის საგანი. წიგნის გადამუშავებული ვერსია გამოქვეყნდა 1971 წელს.

10. მოსარჩელის ფირმამ მანამდე გამოაქვეყნა ჩე გევარას "Socialism and Man in Cuba", ფიდელ კასტროს "Major Speeches", ამილკალ კაბრალის "Revolution in Guinea". 1971 წლიდან გამოჩნდა შემდეგი სახელწოდებების წიგნები, კერძოდ, ელდრიჯ კლივერის "Revolution in the Congo", თხზულებათა წიგნი ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობიდან სახელწოდებით "Body Politic", ჯონ და ელსი კოლიერების "Socialist Revolution" და ტონი ბეკის "The Fine Tubes Strike".

11. ორი დანიელი ავტორის – სორენ ჰანსენისა და ჯესპერ ჯენსენის მიერ დაწერილი წიგნის – "სახელმძღვანელოს" – ბრიტანეთში გამოცემის უფლება მოსარჩელემ შეიძინა 1970 წელს. პირველად წიგნი გამოქვეყნდა დანიაში 1969 წელს, ხოლო შემდგომ, თარგმნისა და გარკვეული ადაპტირების შემდეგ ბელგიაში, ფინეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საბერძნეთში, ისლანდიაში, იტალიაში, ჰოლანდიაში, ნორვეგიაში, შვეიცარიაში და შვეიცარიაში, ისევე როგორც არაევროპულ ქვეყნებში. შემდგომში ის თავისუფალ ბრუნვაში იყო აგრეთვე ავსტრიაში და ლუქსემბურგში.

12. ინგლისურად წიგნის თარგმანის მოგვარების შემდეგ მოსარჩელემ, ბავშვებისა და მასწავლებლებისაგან შემდგარი ჯგუფის დახმარებით, მოამზადა გამოცემა გაერთიანებული სამეფოსათვის. სხვადასხვა პირისაგან მან მიიღო წინასწარი კონსულტაცია წიგნის ღირებულების შესახებ და განიზრახა გაერთიანებულ სამეფოში წიგნის პუბლიკაცია 1971 წლის 1 აპრილს. წიგნის ბეჭდვის დასრულებისთანავე მან წიგნის რამდენიმე ასეული ასლი პრესრელიზთან ერთად გაუგზავნა ეროვნული და ადგილობრივი გაზეთების შერჩეულ გამომცემლობებს, საგანმანათლებლო და სამედიცინო ჟურნალებს. მან ასევე განათავსა წიგნის რეკლამა სხვადასხვა პუბლიკაციებში, მათ შორის იყო “Bookseller”, “Times”-ის საგანმანათლებლო და ლიტერატურული დამატება და “Teachers World”.

13. 1971 წლის 22 მარტს “Daily Mirror”-მა გამოაქვეყნა წიგნის შინაარსის ერთგვარი ანგარიში, სხვა მიმოხილვები გამოქვეყნდა “Sunday Times”-სა და “Sunday Telegraph”-ში 28 მარტს. შემდეგ ინფორმაცია გამოაქვეყნა “Daily Telegraph”-მა. მათში აღნიშნული იყო, რომ უნდა განხორციელებულიყო წარდგინება საჯარო დევნის დირექტორთან, რათა მას გაეტარებინა ღონისძიებები წიგნის პუბლიკაციის წინააღმდეგ. წიგნი დაუყოვნებლივ გახდა პრესაში ფართო განხილვისა და სასარგებლო თუ საწინააღმდეგო კომენტარის საგანი წიგნზე ყადაღის დადების შემდეგ და ასევე, ყადაღის მთელი პერიოდის განმავლობაში, რაზედაც ქვემოთ არის საუბარი.

14. არაერთი საჩივრის მიღების შემდეგ, 1971 წლის 30 მარტს, საჯარო დევნის დირექტორმა (მთავარმა პროკურორი) სთხოვა დედაქალაქის პოლიციას განეხორციელებინა შესაბამისი გამოკითხვა. ამის შედეგად, შეტანილი იქნა წარმატებული საჩივარი ლონდონში საგამომცემლო ფირმა “Stage 1”-ის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების ჩხრეკის ორდერის მისაღებად “უხამსი პუბლიკაციების შესახებ კანონის” მე-3 ნაწილის საფუძველზე. ორდერი გამოცემული იქნა მოსარჩელის დაუსწრებლად, მაგრამ ინგლისური სამართლით დადგენილი პროცედურის შესაბამისად და იმგვარ პირობებში, როდესაც ორდერის გამცემ სასამართლოს გააჩნდა “სახელმძღვანელოს” ასლი. ჩხრეკა განხორციელდა იმავე დღეს და 1,069 წიგნი დროებით ამოღებული იქნა პროკლამაციებთან, პლაკატებთან, სარეკლამო ფურცლებთან და პუბლიკაციასა თუ გაყიდვებთან დაკავშირებულ კორესპონდენციასთან ერთად.

15. თავისი ადვოკატის რჩევის შესაბამისად, მოსარჩელემ მომდევნო დღეების განმავლობაში გააგრძელა წიგნის ასლების გავრცელება. მას შემდეგ, რაც საჯარო დევნის დირექტორმა მიიღო ინფორმაცია ფირმა “Stage 1”-ის საცავებში წიგნის დამატებითი ასლების დამზადების შესახებ, 1971 წლის 1 აპრილს შეტანილი იქნა შემდგომი წარმატებული საჩივარი (ზემოთ აღწერილ მსგავს პირობებში) ამ საცავების ხელახალი ჩხრეკისა და, ასევე, წიგნის ბეჭდვისათვის განკუთვნილი შენობების ჩხრეკის შესახებ. ამ დღის შემდეგ, მთლიანობაში ფირმის საცავებიდან 139 წიგნის ასლი იქნა ამოღებული, ხოლო ბეჭდვის ადგილიდან კი - წიგნის 20 გაფუჭებული ასლი, მასთან დაკავშირებულ პუბლიკაციებთან და შესაბამის მატერიალსთან ერთად, რომლის მეშვეობითაც იგი დაიბეჭდა. მთლიანად დაბეჭდილი 20,000 ასლიდან დაახლოებით 18,800 ასლი ვერ იქნა მოძიებული, ისინი გაიყიდა, მაგალითად სკოლებში, რომლებმაც იგი შეუკვეთეს.

16. 1971 წლის 8 აპრილს მაგისტრატების სასამართლომ, უხამსი პუბლიკაციების შესახებ კანონის მე-2(1) ნაწილის საფუძველზე, რომელიც შესწორებული იქნა უხამსი

პუბლიკაციების შესახებ 1964 წლის კანონის 1(1) ნაწილით, გამოსცა სასამართლოში გამოძახების ორი უწყება მოსარჩელის წინააღმდეგ შემდეგი დარღვევებისათვის:

(ა) 1971 წლის 31 მარტს, 1,069 უხამსი წიგნის, სახელწოდებით – “წითელი პატარა სახელმძღვანელო” – ფლობისათვის სარგებლის მისაღებად პუბლიკაციის მიზნით.

(ბ) 1971 წლის 1 აპრილს, 139 უხამსი წიგნის, სახელწოდებით – “წითელი პატარა სახელმძღვანელო” – ფლობისათვის სარგებლის მისაღებად პუბლიკაციის მიზნით.

უწყებები მოსარჩელეს ჩაჰბარდა იმავე დღეს. მან ამის გამო შეწყვიტა წიგნების გავრცელება და შესაბამისად იგივე ურჩია წიგნის მაღაზიებსაც, მაგრამ, იმ დროისათვის დაახლოებით 17,000 ასლი უკვე თავისუფალ ბრუნვაში იყო გასული.

17. უწყებების მიხედვით საქმე უნდა მოსმენილიყო კლერკენვილის მაგისტრატების სასამართლოში 1971 წლის 28 მაისს, მაგრამ საჯარო დევნის დირექტორის განცხადების საფუძველზე საქმე გადადებული იქნა 29 ივნისამდე. ამ დღეს მოსარჩელე გამოცხადდა ლამბეთის მაგისტრატების სასამართლოს წინაშე, რომელსაც გადაეცა აღნიშნული საქმე, და გაპროტესტა, რომ საქმე მოსმენა და გადაწყვეტა ხდებოდა გამარტივებული პროცედურის მეშვეობით მაგისტრატის და არა მოსამართლისა და მსაჯულების მიერ ბრალდების წარდგენის საფუძველზე. მისი აზრით, ასეთი არჩევანი განპირობებული იყო ფინანსური მოსაზრებებით და საჭიროებით, თავიდან აეცდინათ საბრალდებო პროცედურისათვის თანაარსი გაჭიანურება, თუმცა, მთავრობამ ეს უარყო. მოსარჩელეს მიენიჭა სამართლებრივი დახმარება და ის წარმოდგენილი იქნა ადვოკატით. 1971 წლის 1 ივლისს, მას შემდეგ, რაც მოწვეული იქნენ დაცვისა და ბრალდების მოწმეები, მოსარჩელე ბრალეულად ცნეს ორივე დარღვევისათვის და დააჯარიმეს £25 (გირვანქა სტერლინგი) ოდენობით თითოეული დარღვევისათვის და დააკისრეს £110 (გირვანქა სტერლინგი) გადახდა ხარჯებისათვის. იმავდროულად, სასამართლომ გამოსცა წიგნების ჩამორთმევის ბრძანება პოლიციის მიერ მათი განადგურების მიზნით.

18. 1971 წლის 10 ივლისს დედაქალაქის პოლიციამ მოსარჩელის დამცველისაგან მიიღო შეტყობინებები ორივე მსჯავრდების წინააღმდეგ სააპელაციო გასაჩივრების შესახებ. საფუძველზედ მითითებული იყო, რომ “მაგისტრატების გადაწყვეტილება უკანონო იყო და არ ემყარებოდა საკმარის მტკიცებულებებს”. აპელაცია მოსმენილ იქნა ლონდონის შიდა კვარტალური სხდომების სასამართლოში (Inner London Quarter Sessions) 1971 წლის 20, 21, 22, 25 და 26 ოქტომბერს. ამ მოსმენის დროს მოწმეებმა ჩვენებები მისცეს როგორც ბრალდების, ისე მოსარჩელის სასარგებლოდ. განაჩენი გამოტანილი იქნა 1971 წლის 29 ოქტომბერს. პირველი ინსტაციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში იქნა დატოვებული და მოსარჩელეს დაეკისრა დამატებითი £854 გადახდა ხარჯებისათვის. ზემოთ აღწერილი ამოღებული მასალები შემდგომ განადგურებულ იქნა.

მოსარჩელეს არ გამოუყენებია შემდგომი გასაჩივრების უფლება, რამდენადაც მას საკამათოდ არ გაუხდია, რომ 1971 წლის 29 ოქტომბრის განაჩენში ინგლისური სამართალი სწორად იყო გამოყენებული.

19. სახელმძღვანელო არ გამხდარა პროცედურის საგანი ჩრდილოეთ ირლანდიაში, ნორმანდიის კუნძულებზე, ანდა მენის კუნძულზე, მაგრამ შოტლანდიაში სხვაგვარად წარიმართა მოვლენები.

მართლაც, გლაზგოელ წიგნიტმოვაჭრეს ბრალი წაეყენა ადგილობრივი კანონის საფუძველზე. თუმცა, 1972 წლის 9 თებერვალს იგი გაამართლა სახელმწიფო ხელფასის მქონე მაგისტრატმა, რომელმაც მიიჩნია, რომ წიგნი არ წარმოადგენდა უწყსო ან უხამს მასალას ამ კანონის გაგებით. საქმის მასალებიდან არ ჩანს, აღნიშნული საქმე წიგნის თავდაპირველ ვერსიას შეეხებოდა თუ გადამუშავებულს.

შემდეგ, შოტლანდიური სამართლის საფუძველზე, საჩივარი შეტანილი იქნა ფირმა “Stage 1”-ის წინააღმდეგ გადამუშავებულ ვერსიასთან მიმართებაში. 1972 წლის 8 დეკემბერს ედინბურგის სასამართლომ საჩივარს უარი უთხრა იმ ერთადერთი საფუძველით, რომ ბრალდებულს არ გააჩნდა აუცილებელი *mens rea* (ბრალი). 1973 წლის იანვარში ფისკალურმა პროკურორმა განაცხადა, რომ არ გაასაჩივრებდა ამ გადაწყვეტილებას. მან ასევე არ წამოიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა პირადად ბ-ნი ჰენდისაიდის წინააღმდეგ.

სახელმძღვანელო

20. წიგნის თავდაპირველი ინგლისურენოვანი გამოცემა, რომელიც ღირდა 30 პენსი, მთლიანად შედგებოდა 208 გვერდისაგან. იგი მოიცავდა წინასიტყვაობას სახელწოდებით “ყველა ზრდასრული ქალადის ვეფხვია”, “წინასიტყვაობას ბრიტანული გამოცემისათვის” და შემდეგი შინაარსის ნაწილებს: “განათლება”, “სწავლა”, “მასწავლებლები, მოსწავლეები და სისტემა”. მოსწავლეების შესახებ წიგნის ნაწილი შეიცავდა ოცდაექვსევერდიან თავს სახელწოდებით “სექსი”, რომელიც თავის მხრივ მოიცავდა შემდეგ ქვეთავებს: “მასტურბაცია”, “ორგაზმი”, “ურთიერთობა და ალერსი”, “კონტრაცეპტივები”, “სველი სიზმრები”, “მენსტრუაცია”, “ხულიგანი ბავშვები ან “ბინძური ბებერი მამაკაცი”, “პორნოგრაფია”, “იმპოტენცია”, “ჰომოსექსუალიზმი”, “ნორმალური და არანორმალური”, “ადმოჩინე მეტი”, “ვენერიული დაავადებები”, “აბორტი”, “კანონიერი და უკანონო აბორტი”, “გახსოვდეს”, “აბორტის მეთოდები”, “დასახმარებლად მიმართვა და რჩევები სექსის საკითხებზე”.

წინასიტყვაობაში მითითებული იყო: ეს წიგნი ჩაფიქრებულია, როგორც საცნობარო წიგნი. იდეა მისი თავიდან ბოლომდე წაკითხვა კი არ არის, არამედ მისი შინაარსის ჩამონათვალის გამოყენება თქვენთვის საინტერესო თემის მოსაძებნად და წასაკითხად, ანდა მის შესახებ მეტის შესატყობად. მაშინაც კი, თუ თქვენ ხართ განსაკუთრებულად პროგრესულ სკოლაში, წიგნში მაინც იპოვნით არაერთ იდეას რაღაცის გასაუმჯობესებლად”.

21. მოსარჩელე გეგმავდა წიგნის გავრცელებას წიგნის გაყიდვის ჩვეულებრივი არხების მეშვეობით, მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო მოსმენის დროს ითქვა, რომ გაზიარებული უნდა ყოფილიყო აზრი, რომ წიგნი გამიზნული იყო 12 წლისა და უფროსი ასაკის სკოლის მოწაფეებისათვის და იმისათვის, რომ იგი ხელმისაწვდომი გამხდარიყო მათთვის.

22. სააპელაციო მოსმენის დროს, მოსარჩელემ კონსულტაცია მიიღო თავისი სამართლებრივი მრჩევლისაგან სახელმძღვანელოს გადამუშავებული ვერსიის თაობაზე, რათა თავიდან აეცილებინა შემდგომი დევნა. იგი ასევე შეეცადა რჩევით მიემართა საჯარო დევნის დირექტორისთვისაც, მაგრამ უშედეგოდ. გადაწყდა, ამოღებულიყო ან ხელახლა

დაწერილიყო ის შეურაცხმყოფელი სტრიქონები, რომელთა წინააღმდეგაც გაილაშქრა დევნამ მაგისტრატების სასამართლოში, მაგრამ ამის გაკეთება უნდა მომხდარიყო აუცილებლად, ზოგიერთ შემთხვევაში, არსებითად უნდა შეცვლილიყო ეს გაკრიტიკებული წინადადებები. იყო სხვაგვარი ცვლილებებიც ტექსტში საერთო გაუმჯობესების თვალსაზრისით, მაგალითად, მკითხველისაგან მიღებული კომენტარისა და რჩევების საპასუხოდ და შეცვლილი მონაცემების განახლების (მისამართები და სხვ.) თვალსაზრისით.

23. გადამუშავებული ვერსია გამოქვეყნდა 1971 წლის 15 ნოემბერს. გენერალურ პროკურორთან კონსულტაციის შემდეგ, საჯარო დევნის დირექტორმა 1971 წლის 6 დეკემბერს განაცხადა, რომ რომ ახალი გამოცემა არ დაექვემდებარებოდა დევნას. მისი პუბლიკაცია განხორციელდა კვარტალური სხდომების სასამართლოს განაჩენის შემდეგ, მაგრამ სახელმძღვანელოს გადამუშავება დასრულდა და ახალი ვერსია დაბეჭდვის მზადყოფნაში იყო გაცილებით უფრო ადრე.

მიდა სამართალი

24. სახელმძღვანელოს წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებები ეფუძნებოდა უხამსი პუბლიკაციების შესახებ 1959 წლის კანონს, რომელიც შესწორებული იქნა უხამსი პუბლიკაციების შესახებ 1964 წლის კანონით (ამიერიდან მოხსენიებულია როგორც “1959/54 წლის კანონები”).

25. 1959/54 წლის კანონებიდან შესაბამისი ამონარიდები ერთობლიობაში იკითხება შემდეგნაირად:

ნაწილი 1

“(1) ამ კანონის მიზნებისათვის სტატია მიჩნეულია უხამსად, თუ მისი შედეგები ან (როდესაც სტატია მოიცავს ორ ან მეტ განსხვავებულ ცნობას) მისი ერთ-ერთი ცნობის შედეგი, მთლიანობაში აღებული, არის იმგვარი, რომელსაც ძალუძს გამოიწვიოს ზნედაცემა და გარყვნა პირებისა, როდესაც ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ მათ წაიკითხოთ, დაინახონ ან მოისმინონ ის შინაარსი, რომელსაც იგი მოიცავს ან რომელსაც ის განასახიერებს.

(2) ამ კანონში “სტატია” გულისხმობს სტატიის ნებისმიერ გამოხატულებას რომელიც მოიცავს ან განასახიერებს წასაკითხ ან ხილვად მასალას, ან ორივეს ერთდროულად, ნებისმიერ ხმოვან ჩანაწერს, და ნებისმიერ ფილმს ან სურათის მონაცემებს ან საკუთრივ სურათებს.

...”

ნაწილი 2

“(1) ნებისმიერი პირი, ვინც სარგებლის სარგებლის მიზნით ან მის გარეშე, აქვეყნებს უხამს სტატიას, ან ვისაც გააჩნია უხამსი სტატია სარგებლის მიღების მიზნით პუბლიკაციისათვის (იმის მიუხედავად, პირადად მის სარგებლობას შეეხება საქმე თუ სხვისას) დაექვემდებარება:

(ა) გამარტივებული პროცედურის გზით მსჯავრდების შედეგად დაკისრებულ ჯარიმას, რომელიც არ აღემატება ას გირვანქა სტერლინგს, ან პატიმრობას, რომლის ვადაც არ აღემატება ექვს თვეს.

B(ბ) ბრალულობის გამორკვევის პროცედურის გზით მსჯავრდების შედეგად დაკისრებულ ჯარიმას ან პატიმრობას, რომლის ვადაც არ აღემატება სამ წელს, ანდა ორივეს ერთდროულად.

... პირი მიჩნეულია სარგებლის მიღების მიზნით გამოსაქვეყნებლად გამოიზნული სტატიის მქონედ, თუ გამოქვეყნების განზრახვით მას ეს სტატია გააჩნია საკუთრებაში, მფლობელობაში ან კონტროლქვეშ.

...

(4) სტატიის გამომქვეყნებელი პირის წინააღმდეგ არ აღიძვრება საქმე დარღვევის გამო საერთო სამართლის მიხედვით ნებისმიერი შინაარსის პუბლიკაციისათვის, რომელსაც ის შეიცავს ან განასახიერებს, რამდენადაც საკუთრივ არსი ამ დარღვევისა ის არის, რომ ეს შინაარსი უნდა იყოს უხამსი.

..."

ნაწილი 3

"(1) თუ მომრიგებელი მოსამართლე (justice of the peace) ფიცის ქვეშ მიცემული ინფორმაციის საფუძველზე დარწმუნებულია, რომ არსებობს გონივრული საფუძველი იმაში დასაეჭვებლად, რომ ამა თუ იმ საცავში ... რომელიც სპეციალიზირებულია ინფორმაციაზე, არის უხამსი სტატიები, ანდა იქ დროდადრო ინახება გამოსაქვეყნებლად სარგებლის მიღების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია გასცეს ორდერი... რომელიც ნებისმიერ პოლიციელს უფლებას ანიჭებს შევიდეს (საჭიროების შემთხვევაში ძალის გამოყენებითაც) ამ საცავში ... ორდერის გაცემის დღიდან თოთხმეტი დღის ვადაში, და მოახდინოს იქ აღმოჩენილი სტატიების კონფისკაცია და გადატანა, რომელთა მიმართაც მას გააჩნია საფუძველი ივარაუდოს, რომ ისინი უხამსია და რომ ინახება გამოსაქვეყნებლად სარგებლის მიღების მიზნით.

(2) ზემორე პუნქტში მითითებული ორდერი, თუკი მის საფუძველზე რაიმე უხამსი სტატიები არის კონფისკაციაქმნილი, ასევე იძლევა უფლებას, განხორციელდეს კონფისკაცია და საცავიდან გატანა იქ აღმოჩენილი ნებისმიერი დოკუმენტისა ... რომელიც დაკავშირებულია ვაჭრობასთან ან საქმიანობასთან, რომელიც ამ საცავში ხორციელდება...

(3) კონფისკაციაქმნილი სტატიები ... წარედგინება მომრიგებელ მოსამართლეს ... რომელსაც ... შეუძლია ამის შემდეგ გასცეს სასამართლო უწყება საცავის მფლობელის მიმართ .. მაგისტრატების სასამართლოს წინაშე ... მის გამოსაცხადებლად ..., რათა მან წარმოადგინოს მიზეზები, თუ რატომ არ უნდა იქნეს ჩამორთმეული ეს სტატიები; თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ ესა თუ ის სტატია, მისი კონფისკაციის დროს იყო უხამსი და ინახებოდა გამოსაქვეყნებლად სარგებლის მიღების მიზნით, სასამართლო გასცემს ბრძანებას ამ სტატიების ჩამორთმევის შესახებ.

...

(4) სასამართლოში უწყებით გამოძახებული პირის გარდა, ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც არის მესაკუთრე, ავტორი ან შემქმნელი სასამართლოს წინაშე წარდგენილი სტატიებისა, აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს, ვის ხელშიც გაიარა ამ სტატიებმა მათ კონფისკაციამდე, უფლება აქვს, ასევე გამოცხადდეს სასამართლოს წინაშე ... რათა წარმოადგინოს მიზეზები, თუ რატომ არ უნდა იქნეს ისინი ჩამორთმეული.

(5) როდესაც სტატიების ჩამორთმევის შესახებ ორდერი გაცემულია ამ ნაწილის საფუძველზე, ნებისმიერ პირს, ვინც გამოცხადდა სასამართლოში, ანდა უფლება ჰქონდა გამოცხადებულიყო ორდერის გაცემის საწინააღმდეგო საფუძველების წარსადგენად, შეუძლია საქმე გაასაჩივროს კვარტალური სხდომების სასამართლოში; ორდერს არავითარი შედეგები არ მოჰყვება მისი გამოცემიდან თოთხმეტი დღის განმავლობაში, ხოლო თუ ამ ვადის ამოწურვამდე გასაჩივრების შესახებ შეტყობინება ჯეროვნად არის შესრულებული, ანდა შეტანილია განცხადება საქმის მაღალი ინსტანციის სასამართლოში (High Court) განხილვის მოთხოვნით – საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე, ანდა სააპელაციო პროცედურასა ან საქმეზე ნებაყოფლობით უარის თქმამდე.

...

(7) ამ ნაწილის მიზნებისათვის საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა სატატია უზამსი, უნდა გადაწყდეს პრეზუმციის საფუძველზე, რომ სტატიები გამოქვეყნდებოდა ნებისმიერი ისეთი ფორმით, რაც მოსალოდნელი იყო იმ გარემოებებში, რომლებშიც ისინი იქნა აღმოჩენილი და არა სხვა რომელიმე ფორმით.

...

... როდესაც სტატიები კონფისკაციაქმნილია მე-3 ნაწილის საფუძველზე ... და პირი მსჯავრდებულია მე-2 ნაწილის საფუძველზე ... სარგებლის მისაღებად გამოქვეყნების მიზნით მათი შენახვისათვის, სასამართლო მსჯავრის დადებასთან ერთად გასცემს ბრძანებას სტატიების ჩამორთმევის შესახებ.

ბრძანება, რომელიც ამ პუნქტის საფუძველზეა გაცემული (მათ შორის ბრძანება, რომელიც გაცემულია სააპელაციო ეტაპზე), არ გამოიწვევს არავითარ შედეგს, სანამ არ ამოიწურება დრო, რომლის განმავლობაშიც სააპელაციო პროცედურა, რომლის დროსაც გაიცა ეს ბრძანება, შეიძლება აღძრულ იქნეს, ხოლო როდესაც სააპელაციო პროცედურა სათანადოდ არის აღძრული – მანამ სანამ სააპელაციო საჩივრის ბედი საბოლოოდ არ გადაწყდება ან არ მიატოვებენ მას ნებაყოფლობით.

...”

ნაწილი 4

“(1) პირი ვერ იქნება მსჯავრდებული ამ კანონის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დარღვევისათვის და ბრძანება ჩამორთმევის შესახებ ვერ გაიცემა ზემოაღნიშნული ნაწილის საფუძველზე, თუკი დამტკიცებულია, რომ სტატიის გამოქვეყნება არსებითად გამართლებულია როგორც საზოგადოებრივად სასარგებლო, იმ გაგებით, რომ იგი ემსახურება მეცნიერების, ლიტერატურის ან ცოდნის შეძენის ხელოვნების ინტერესებს ანდა საერთო საზრუნავის სხვაგვარ მიზნებს.

(2) შესაბამისად ცხადდება, რომ ექსპერტთა მოსაზრებები სტატიის ლიტერატურული, მხატვრული, მეცნიერული თუ სხვაგვარი ღირებულების შესახებ შეიძლება დაშვებული იქნეს ამ კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი პროცესის დროს როგორც ხსენებული საფუძვლების დადასტურების, ისე მათი უარყოფის მიზნით”.

ნაწილი 5

“...

(3) ეს კანონი არ ვრცელდება შოტლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიაში”.

26. იმ მოვლენების დროს, რომლებსაც ახლა სასამართლო განიხილავს, ხელისუფლება უფრო ხშირად იყენებდა მორიგების პროცედურას ... (a non-contentious procedure) ("disclaimer/caution procedure"), ვიდრე, ამ საქმის მსგავსად, სისხლისსამართლებრივი პროცესის აღძვრას, რომელსაც სასჯელი მოჰყვება. თუმცა, მისი გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი აღიარებდა სტატიის უხამსობას და ეთანხმებოდა მის განადგურებას. ასეთი პროცედურა მხოლოდ პრაქტიკით იყო დანერგილი და 1973 წლიდან იგი აღარ გამოიყენებოდა სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი გაკრიტიკების შემდეგ.

ლონდონის შიდა კვარტალური სხდომების სასამართლოს განაჩენი

27. სააპელაციო მოსმენის დროს სასამართლომ ორი ძირითადი საკითხი განიხილა ; კერძოდ, პირველი, დაამტკიცა თუ არა გონივრული ეჭვის მიღმა სტანდარტით სახელმწიფო ხელისუფლებამ, რომ სახელმძღვანელო წარმოადგენდა უხამს სტატიას 1959/64 კანონების გაგებით; და მეორე, თუ წარმოადგენდა, დაამტკიცა თუ არა მოსარჩელემ მისი დაცვის საფუძვლები 1959/64 კანონების მიხედვითა და შესაძლებლობათა ბალანსის (balance of probabilities) მეშვეობით, რომ წიგნის პუბლიკაცია გამართლებული იყო, როგორც საზოგადოებრივად სასარგებლო.

28. სასამართლომ პირველ რიგში განიხილა უხამსობის საკითხი. სხვა საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი უნდა დარწმუნებულიყო, რომ ის პირები, რომლებსაც სავარაუდოდ ეს სტატია შეიძლება წაეკითხათ, წარმოადგენდნენ პროპორციულად მნიშვნელოვან ნაწილს. მან ასევე გაიზიარა სიტყვების – “ზნედაცემა და გარყვნა” – ის მნიშვნელობა, რაც მან სხვა საქმეში ახსნა და რაც მხარეებმა არ მიიჩნიეს საკამათოდ.

29. სხვა წინანდელი პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ექსპერტთა მტკიცებულებები დაშვებული უნდა ყოფილიყო იმ საკითხზე, იყო თუ არა სახელმძღვანელო უხამსი. ასეთი მტკიცებულება, ჩვეულებრივ არ იყო დაშვებული ასეთი მიზნით, მაგრამ მხოლოდ 1959/64 კანონების მე-4 ნაწილის საფუძველზე სტატიის დაცვასთან დაკავშირებით, იგი შეიძლებოდა მოესმინათ წინამდებარე საქმეზე, რომელიც შეეხებოდა ბავშვებზე სტატიის ზეგავლენის შედეგებს.

შესაბამისად სასამართლომ მოისმინა სისხლისსამართლებრივი დევნის სასარგებლოდ შვიდი, და მოსარჩელის სასარგებლოდ ცხრა მოწმე, რომლებიც წარმოადგენდნენ ექსპერტებს სხვადასხვა სფეროში, კერძოდ ექსპერტებს ფსიქიატრიისა და სწავლების

დარგებში. მათ მიერ გამოთქმული შეხედულებები ძლიერ განსხვავებოდა. სასამართლოს მხრიდან მათი მოსმენის შემდეგ მოსარჩელემ განაცხადა, რომ ისეთ პირობებში, როდესაც არსებობდა მრავალი მაღალკვალიფიციური ექსპერტის მოსაზრება საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის წინააღმდეგ, შეუძლებელი იყო იმის თქმა, რომ ზნედაცემისა და გარყვნის ტენდენცია ცხადად იყო დადგენილი. სასამართლომ ვერ შეძლო ამ არგუმენტის გაზიარება. თავის 1971 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში, მან ხაზი გაუსვა იმას, რომ არსებობდა ცხოვრებისეული ფონის თითქმის უთვალავი ვარიაცია ბავშვებთან მიმართებაში, რომლებზეც ეს წიგნი ამა თუ იმ გზით თავის გავლენას მოახდენდა. ასე რომ, მოცემულ საქმეში რთული იყო ესაუბრა “ნამდვილ ფაქტებზე”. მოსარჩელის მოწმეების შეხედულებები იმგვარი იყო, რომლებიც განეკუთვნებოდა ბავშვთა განათლებისა და აღზრდის საქმეში სხვადასხვაგვარი მსოფლმხედველობრივი მიდგომების გამოყენების უკიდურეს ფრთას. მაშინ როდესაც, დევნის სასარგებლოდ მიცემული მტკიცებულებები მიდრეკილი იყო, მოეცა იმათი შეხედულებები, რომლებიც, მართალია, აშკარად საპირისპირო მიმართულებისა, მაგრამ მაინც ნაკლებად რადიკალური იყო. კერძოდ, მოსარჩელის სასარგებლო მტკიცებულებების შეფასებისას, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მოწმეთა უმეტესობა იმდენად არაკრიტიკული იყო წიგნის მიმართ მთლიანობაში და იმდენად შეუზღუდველი მის ქება-დიდებაში, რომ ამ გარემოებებმა აღნიშნული შეფასებანი იმ დროს გახადა გაცილებით უფრო ნაკლებად დამაჯერებელი, ვიდრე ისინი შეიძლებოდა სხვა შემთხვევაში ყოფილიყო. საბოლოოდ სასამართლომ მიიჩნია, რომ მოწმეთა დიდი წილი იმდენად ცალმხრივი იყო ამ უკიდურეს შეხედულებებთან მიმართებაში, რომ მათ დაჰკარგეს ფართო საზოგადოებრივი იმგვარი ხარისხის პასუხისმგებლობით განსჯისა, რომელიც მტკიცებულებას დიდ ღირებულებას სძენს ასეთი ტიპის საკითხში.

30. საკუთრივ სახელმძღვანელოს შესახებ სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ წიგნი გამიზნული იყო მოზარდებისათვის, რომლებიც თავიანთი განვითარების უაღრესად კრიტიკულ სტადიაზე იმყოფებოდნენ. ასეთ დროს სასამართლო ვალდებული იყო დიდი პასუხისმგებლობით მოკიდებოდა საქმეს. წინამდებარე საქმეში მათ წინაშე იყო სრულად პასუხისმგებლიანი ზრდასრული ადამიანის მოსაზრებები, უკიდურესი ფორმით შესრულებული ნამუშევარი, იმის მითითების გარეშე, რომ არსებობდა ალტერნატიული მოსაზრებებიც. ყოველივე ეს ბავშვებს ართმევდა შესაძლებლობას, ზოგიერთი ძალიან მტკიცე რჩევის შესახებ ჩამოეყალიბებინათ დაბალანსებული შეხედულებები.

31. შემდეგ სასამართლომ მიმოიხილა საქმის საერთო ფონი. მაგალითად, მთლიანობაში, წიგნში ქორწინების ინსტიტუტი მნიშვნელოვანწილად იყო უგულვებელყოფილი. მეტად ცალმხრივი შეხედულებებისა და ფაქტების თავმოყრით, და ასევე იმის აღნიშვნით, რომ წიგნი საცნობარო ხასიათისა იყო, იგი ძირს უთხრიდა ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმართ მრავალ სხვა ზეგავლენას, მათ შორის ზეგავლენას მშობლების, ეკლესიის, ახალგაზრდული ორგანიზაციების მხრიდან, რომელთაც შეეძლოთ სხვაგვარად უზრუნველყოთ თავშეკავებულობისა და საკუთარი თავის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება მათთვის, ვინც წიგნში არაადეკვატური გამონათქვამები აღმოაჩენდა.

სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მთლიანობაში და სავსებით აშკარად, ბავშვებში შესაბამისი განწყობის შექმნით, სახელმძღვანელო ზიანის მომტანი იყო ბავშვებსა და მასწავლებლებს შორის კარგი ურთიერთობისათვის. კერძოდ, წიგნში იყო არაერთი პასაჟი,

რომელიც სასამართლომ დამლუპველად მიიჩნია არა მარტო უფროსებისადმი დამოკიდებულების, არამედ მასწავლებლებსა და ბავშვებს შორის არსებულ ნდობაზე უარყოფითი ზეგავლენის თვალსაზრისით.

32. რამდენადაც წიგნს გააჩნდა ზნედაცემისა და გარყვნის ტენდენცია, სასამართლომ მიიჩნია, რომ წიგნის საერთო ატმოსფერო მთლიანობაში სწორედ ასე გამოიყურებოდა და აღნიშნა, რომ საზოგადოების, ისევე როგორც საკუთარი თავის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა, თუ ბოლომდე უგულვებელყოფილი არა, მთლიანად მოქცეული იყო ბავშვის თვითგამოხატვის უნარის განვითარებისადმი სრულ დაქვემდებარებაში. როგორც მიმანიშნებელი იმაზე, რაც სასამართლომ ზნედაცემისა და გარყვნის ტენდენციად მიიჩნია, სასამართლომ მიუთითა შემდეგი:

A. პასაჟი სათაურით “იყავი ის, ვინც ხარ” (გვ.77)

"შეიძლება შენ მარიხუანას ეწევი ან საწოლში წვები მეგობარ გოგონასთან ან ბიჭთან ერთად – და ნუ ეტყვი ამის შესახებ შენს მშობლებს ან მასწავლებლებს; თუნდაც იმიტომ რომ ვერ ბედავ ამას, ანდა მხოლოდ იმიტომ, რომ გინდა ეს საიდუმლოდ შეინახო.

ნუ გექნება სირცხვილისა თუ დანაშაულის გრძნობა ისეთი რამის კეთებისას, რაც ნამდვილად გინდა რომ გააკეთო და ეს ფიქრები მხოლოდ იმიტომ გაწუხებს, რომ შესაძლოა შენმა მშობლებმა ან მასწავლებლებმა ეს არ მოგიწონონ. მრავალი ასეთი რამ შენთვის გაცილებით მნიშვნელოვანი გახდება მოგვიანებით შენს ცხოვრებაში, ვიდრე ისინი, რომლებიც “მოწონებულია”.

არასასურველი პუნქტი იყო ის გარემოება, რომ არ არსებობდა მითითება მარიხუანას მოწევის უკანონობაზე, მით უფრო, რომ მარიხუანას თემაზე არაერთ გვერდზე, წიგნის სხვადასხვა ნაწილებში იყო საუბარი. ასევე, არსად, მთელ წიგნში არ იყო აღნიშნული 14 წლის ასაკს მიუღწეველი ბიჭისა და თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველი გოგონასთან სქესობრივი კავშირის უკანონობაზე. არ უნდა ყოფილიყო მხედველობიდან გამორჩენილი ის გარემოება, რომ სახელმძღვანელო მოხსენიებული იყო, როგორც საცნობარო ლიტერატურა და ამდენად, მოზარდს შეეძლო წაეკითხა მხოლოდ მისთვის საინტერესო ნაწილი და არა მთელი წიგნი.

B. პასაჟი (გვ.97-98) სათაურით “ურთიერთობა და ალერსი” ძირითადი სათაურის ქვეშ – “სექსი”: თავშეკავებასა და არაკეთილგონიერებაზე ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ამ წიგნის ისეთი მცირეწლოვანი ბავშვებისათვის გადაცემა, რომლებიც სასამართლოს აზრით, სხვა ბავშვების მსგავსად ამ წიგნს წაიკითხავენ, ბადებდა ზნედაცემისა და გარყვნისაკენ მიდრეკილებას.

C. პასაჟი – (გვ.103-105) – სათაურით “პორნოგრაფია” და კერძოდ შემდეგი:

"პორნოგრაფია უვნებელი სიამოვნებაა, თუკი ის არ არის აღქმული სერიოზულად და არ წარმოვიდგენთ მას რეალურ ცხოვრებად. ის ვინც მას რეალობად წარმოიდგენს, იმედგაცრუება ელის.

მაგრამ სავსებით შესაძლებელია, რომ მასში აღმოაჩინო რაიმე კარგი იდეა ან იპოვნო ისეთი რამ, რაც საინტერესოდ გეჩვენება და არასოდეს გიცდია მანამდე."

სამწუხაროდ, ზემოთ მითითებულ ჯანსაღ და სიფრთხილით სავსე პარაგრაფს უშუალოდ მოჰყვებოდა ბავშვებისათვის მიცემული რჩევა, რომ პორნოგრაფიაში მათ შესაძლოა კარგი იდეები ეპოვნათ და მისაღებად მიეჩნიათ. ეს ზრდიდა რეალურ მოსალოდნელობას იმისა, რომ ბავშვებს სავალდებულოდ აღექვათ პორნოგრაფიაში ასეთი ელემენტების ძიება და მათი პრაქტიკული განხორციელება. უფრო მეტიც. წინა გვერდზე იყო შემდეგი პასაჟი: “მაგრამ არსებობს სხვა ნაირსახეობაც – მაგალითად, სურათები ცხოველებთან სქესობრივი კავშირის შესახებ, ან სურათები, სადაც ადამიანები ერთმანეთს დაზიანებებს აყენებენ სხვადასხვა გზით; პორნოგრაფიული ისტორიები ასეთივე ამბებს აღწერს.” სასამართლოს აზრით, მიუხედავად იმისა, რომ დაუჯერებელი იყო მოსალოდნელობა, ახალგაზრდებს ყოველივე ამის შედეგად მართლაც ჩაედინათ ცხოველებთან სექსუალური სამართალდარღვევები, მაგრამ შესაძლებლობა იმისა, რომ მათ პრაქტიკულად გამოეცადათ სისასტიკის სხვადასხვა ფორმები ერთმანეთის მიმართ სექსუალური დაკმაყოფილებისათვის, რეალური მოსალოდნელობა იყო ბავშვების უმრავლესობის შემთხვევაში, თუკი ეს წიგნი ხელში ჩაუვარდებოდათ თავიანთი ცხოვრების მშფოთვარე, ცვალებად, და სექსუალურად აღელვებულ ეტაპზე. ასეთი ქმედებები სავსებით შესაძლებელია, ყოფილიყო სისხლისსამართლებრივი დარღვევებიც, როგორც მაგალითად, მარიხუანას მოწევა, ანდა სქესობრივი კავშირი 14 წლის ასაკს მიუღწეველ ბიჭთან ან 16 წლის ასაკს მიუღწეველ გოგონასთან. გამონათქვამი “ზნედაცემა და გარყვნა” უთუოდ მოიცავდა ყოველივე ამის დაშვებას ანდა ამ ტიპის კრიმინალისაკენ წაქეზებას.

33. სასამართლომ “მთელი წიგნის გათვალისწინებით” დაასკვნა, რომ “ეს წიგნი ან ეს სტატია სექსის შესახებ, ან ეს ნაწილი ან თავი მოსწავლეების შესახებ, მათგან რომელიც არ უნდა ყოფილიყო არჩეული სტატიად, მთლიანობაში აღიქმებოდა როგორც იმ ბავშვების ზნედაცემისა და გარყვნისაკენ მიდრეკილების მიმცემი, რომლებიც მოსალოდნელი იყო რომ მას წაიკითხავდნენ.” ეს ბავშვები, როგორც გაზიარებული იქნა, მოიცავდა მათ ძალზე მნიშვნელოვან ოდენობას თექვსმეტი წლის ასაკს ქვემოთ.

34. ბოლოს სასამართლომ იმსჯელა 1959/64 წლის კანონების მე-4 ნაწილის მიხედვით სტატიის დაცულობის საკითხზე. მან აღნიშნა, რომ წიგნის არაერთი მახასიათებელი უდავოდ კარგი იყო. მაგრამ ცუდი და შეუსაბამო ის იყო, რომ კარგი ხშირად ცუდში იყო არეული და ამით გაფერმკრთალებული.

მაგალითად, ინფორმაცია კონტრაცეპტივების შესახებ (გვ. 98-102) შესაბამისი და სასურველი იყო; ეს ინფორმაცია აუცილებლად უნდა გადასცემოდათ ბავშვებს, რომლებსაც შესაძლოა სხვა გზით არც ჰქონოდათ მასზე ხელმისაწვდომობა. მაგრამ ეს პოზიტივი დაზიანებული იყო რჩევით, რომელიც თავის მხრივ რეკომენდაციით იყო გამყარებული, ემოქმედათ პირდაპირ, თუ სასკოლო ხელისუფლება არ იძლეოდა ნებას, რომ თითოეულ სკოლას ჰქონოდა კონტრაცეპტივების, სულ მცირე, ერთი სავაჭრო მანქანა მაინც.

მსგავსად, ჰომოსექსუალიზმის საკითხისადმი დამოკიდებულება (გვ. 105-107) იყო რეალური, თანაგრძნობითა და გაგებით გამსჭვალული და ღირებული. მაგრამ ისევ და ისევ, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად კარგად შეაფასა ვინმემ ამ ნაწილის ღირებულება, იგი უიმედოდ იყო გაქარწყლებული საერთო ჩარჩოთი თუ კონტექსტით და იმ ფაქტით, რომ თითქოს მხოლოდ ის ერთადერთი უკავშირდებოდა სტაბილურ სექსუალურ ურთიერთობას, მაშინ როდესაც ქორწინების მიმართ ასეთივე

დამოკიდებულება არ ყოფილა გამოხატული. უფრო მეტიც, არსებობდა რეალური საშიშროება იმისა, რომ ამ პასაჟის საფუძველზე ბავშვებს გაეკეთებინათ დასკვნა, თითქოს ასეთი ტიპის ურთიერთობას მუდმივი ხასიათი ჰქონდა.

A

ასევე, წიგნში იყო პასაჟები ვენერიული დაავადებების (გვ.110-111), კონტრაცეპტივების (გვ. 98-102) და აბორტის (გვ. 111-116) შესახებ, რომლებიც, მიუკერძოებელად და გონივრულად, და მთლიანობაში სავსებით ზუსტად, შეიცავდა რჩევათა რიგს, რომელთა მცირეწლოვანი ბავშვებისათვის მიცემაზეც უარი არ უნდა თქმულიყო. თუმცა, შესაძლებლობათა ბალანსის საფუძველზე, ეს საკითხები ვერ გადასწონიდა ზნედაცემისა და გარყვნისაკენ იმ ტენდენციას, რომლის არსებობაშიც სასამართლო დარწმუნებული იყო. სასამართლომ თავის თავს დაუსვა შეკითხვა, იყო თუ არა, პოზიტივი, რომელსაც სახელმძღვანელო სავარაუდოდ გამოიწვევდა, ისეთი, რომ უხამსობის იმ ხარისხის გათვალისწინებით, რომელიც მან დადგენილად მიიჩნია, მაინც გამართლებულად მიჩნეულიყო მისი გამოქვეყნება საჯარო ინტერესების მოტივით. სასამართლო, სამწუხაროდ, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თავისი ტვირთი, დაემტკიცებინა, რომ “პუბლიკაცია გამართლებული იყო, როგორც საზოგადოებრივად სასარგებლო”, მოსარჩელის მიერ ვერ იქნა გაწეული.

შემდგომი დეტალები შეეხება გადამუშავებულ გამოცემას.

35. პასაჟები სახელმძღვანელოს ორიგინალური გამოცემიდან, რომელთა “უკიდურეს” ტონსა თუ მავნე ასპექტებს ხაზი გაუსვა 1971 წლის 29 ოტომბრის განაჩენმა (იხ. ზემორე 30-ე და 31-ე პარაგრაფები), უცვლელად ანდა უმნიშვნელო ცვლილებებით განმეორდა გადამუშავებულ ვერსიაში, რომელიც მომზადებული იყო მანამდე, მაგრამ გამოქვეყნდა 1971 წლის 15 ნოემბერს (22-23-ე პარაგრაფები).

კვარტალური სხდომების სასამართლოს მიერ ზნედაცემისა და გარყვნის ტენდენციის სადემონსტრაციოდ მითითებული გამოგონებული მაგალითებიდან (ზემორე 32-ე პარაგრაფი) ერთი მათგანი არ იყო შეცვლილი (გვ.77, “იყავი ის, ვინც ხარ”). მეორე მხრივ, სხვები საკმაოდ ვრცლად იქნა შემსუბუქებული (გვ. 97-98, “ურთიერთობა და ალერსი”, და გვ.103-105, “პორნოგრაფია”). ნაშრომის 95-ე გვერდზე ამჟამად არის მითითება სქესობრივი კავშირის უკანონობაზე 14 წლის ასაკს მიუღწეველ ბიჭთან და 16 წლის ასაკს მიუღწეველ გოგონასთან.

გარდა ამისა, გადამუშავებულ გამოცემაში აღარ არის მითითება სკოლებში კონტრაცეპტივების სავაჭრო მანქანის დადგმის შესახებ, ხოლო 106-ე გვერდზე კი აღნიშნულია, რომ ჰომოსექსუალური ტენდენციები ხშირ შემთხვევებში დროებითია.

პროცედურა კომისიაში

36. 1972 წლის 13 აპრილს კომისიაში შეტანილ თავის საჩივარში მოსარჩელემ სამდურავი გამოთქვა იმის გამო, რომ სახელმძღვანელოსა და პირადად მის წინააღმდეგ გაერთიანებული სამეფოს ქმედება წარმოადგენდა კონვენციის მე-9 მუხლით დაცული აზრის, სინდისისა და რწმენის თავისუფლების დარღვევას, აგრეთვე, დარღვევას საკუთრებით შუფერხებელი სარგებლობის უფლებისა, რომელიც პირველი ოქმის

პირველი მუხლით იყო გათვალისწინებული. მან ასევე აღნიშნა, რომ კონვენციის მე-14 მუხლის საწინააღმდეგოდ, გაერთიანებულმა სამეფომ ვერ უზრუნველყო, მისი ზემოაღნიშნული უფლებები დაეცვა პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების გამო დისკრიმინაციისაგან; რომ მის წინააღმდეგ წარმოებული პროცედურა ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-7 მუხლს; და რომ, საბოლოო ჯამში, მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის 1-ლი და მე-13 მუხლებიც. მან ასევე ცალკე პუნქტად ჩამოაყალიბა გატარებული ღონისძიების შედეგად მის მიერ განცდილი დანაკარგი, რაც მოიცავდა £14,184-ს (გირვანქა სტერლინგი) რაოდენობრივად განსაზღვრული ზიანთან მიმართებაში, და, ასევე, სხვა რაოდენობრივად განუსაზღვრელ ნივთებს.

37. თავის 1974 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით კომისიამ მიიღო საჩივარი, რამდენადაც იგი შეეხებოდა განცხადებებს კონვენციის მე-10 მუხლისა და 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის თაობაზე, მაგრამ საჩივარი მიუღებლად ცნო კონვენციის 1-ლი, მე-7, მე-9, მე-13 და მე-14 მუხლებთან მიმართებაში. მან გადაწყვიტა, იმავე დღეს განეხილა, ex officio, ნებისმიერი საკითხი, რომელიც შეიძლება წამოჭრილიყო კონვენციის მე-17 და მე-18 მუხლების საფუძველზე და ამის შესახებ მხარეებს შეატყობინა რამდენიმე დღის შემდეგ.

38. 1975 წლის 30 სექტემბრის ანგარიშში კომისიამ გამოხატა შემდეგი აზრი:

- რვა ხმით ხუთის წინაარმდეგ, ერთის თავშეკავებით, რომ არ არსებობდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა;
- რომ არც სახელმძღვანელოებზე დროებითი ყადაღა (თერთმეტი ხმა) და არც მათი ჩამორთმევა და განადგურება (ცხრა ხმა ოთხის წინააღმდეგ, ერთის თავშეკავებით) არ არღვევდა 1-ლი ოქმის 1-ლ მუხლს;
- თორმეტი ხმით, გადაწყვეტილების სასარგებლოდ, ორის თავშეკავებით, რომ შემდგომი მსჯელობა კონვენციის მე-17 მუხლზე არ წარმოადგენდა აუცილებლობას;
- ერთხმოდ, რომ კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა დადგენილი ვერ იქნა.

ანგარიში მოიცავს არაერთ განსხვავებულ აზრს.

სასამართლოში წარდგენილი საბოლოო მოსაზრებები

39. შემდგომი საბოლოო წარდგინებები განხორციელდა სასამართლოში საქმის ზეპირი მოსმენის დროს 1976 წლის 7 ივნისს:

- კომისიის მხრიდან:

“ იქნებ ინებოს სასამართლომ თქვას და განსაჯოს

(1) წარმოიშვა თუ არა კონვენციის მე-10 მუხლისა და 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა მოსარჩელის, როგორც “პატარა წითელი სახელმძღვანელოს” გამომცემლის წინააღმდეგ გაერთიანებული სამეფოს მიერ აღძრული სამართლებრივი პროცესის შედეგად, რომელიც დასრულდა ამ გამომცემის დაყადაღებით, კონფისკაციითა და მოსარჩელისათვის ჯარიმისა და ხარჯების გადახდით;

(2) თუ წარმოიშვა, უნდა მიენიჭოს თუ არა მოსარჩელეს სამართლიანი დაკმაყოფილება კონვენციის 50-ე მუხლის საფუძველზე ; მისი რაობა და ოდენობა უნდა განისაზღვროს სასამართლოს მიერ.”

- მთავრობის მხრიდან:

" ... გაერთიანებული სამეფოს მთავრობა მიუთითებს დელეგატების მიერ წარდგენილ მოსაზრებებზე და პირველი მათგანის შესახებ სთხოვს სასამართლოს, განაცხადოს, რომ ამ საქმეში არ არსებობს კონვენციის დარღვევა.

რაც შეეხება მეორე საკითხს ..., ვფიქრობ, უნდა განვაცხადო, რომ ჯერჯერობით, სასამართლოსათვის არ მიუმართავთ სამართლიანი დაკმაყოფილების საკითხზე და ძალიან ნაადრევია, რომ ამ ეტაპზე სასამართლომ ამ საკითხზე იმსჯელოს. იმის გადაწყვეტისას, თუ როდის უნდა იქნეს ეს საკითხი განხილული – ცხადია, მაშინ არა, თუ ჩვენი მოსაზრებები პირველ საკითხზე მართებულად იქნება მიჩნეული – შემდეგ გვექნება შესაძლებლობა მსჯელობა განვაახლოთ ამ საკითხზე.

40. მთავრობის აგენტის მიერ გამოთქმული მოსაზრების საპასუხოდ, კომისიის მთავარმა დელეგატმა განაცხადა, რომ როდესაც გამოიყენა სიტყვები – “კერძოდ” (“in particular”) - მან იგულისხმა მითითება ორ მუხლზე, რომლებიც მხედველობაში უნდა მიეღო სასამართლოს.

სამართლის შესახებ

41. 1974 წლის 4 აპრილს, მხარეთა თანდასწრებით საქმის როგორც არსებით, ისე მისაღებობის საკითხებზე მოსმენის შემდეგ, კომისიამ მიიღო საჩივარი, რამდენადაც იგი შეეხებოდა კონვენციის მე-10 მუხლსა და 1-ლი ოქმის 1-ლ მუხლს, მაგრამ საჩივარი მიუღებლად ცნო ბ-ნი ჰენდისაიდის მიერ მოხმობილ კონვენციის 1-ლ, მე-7, მე-9, მე-13 და მე-14 მუხლებთან მიმართებაში. რამდენიმე დღის შემდეგ კომისიამ ამცნო მხარეებს, რომ იგი მხედველობაში მიიღებდა მე-17 და მე-18 მუხლებსაც. თუმცა, 1975 წლის 30 სექტემბრის ანგარიშში კომისიამ გამოთქვა აზრი, რომ მოსარჩელესა და მთავრობას შორის მიღწეული შეთანხმების შესაბამისად (პარაგრაფები 92 და 128), მე-17 მუხლი ამ საქმეში ვერ იქნებოდა გამოყენებული.

სასამართლოსაგან მიღებული შეკითხვის საპასუხოდ, კომისიის დელეგატებმა დააზუსტეს, რომ განცხადებები (1-ლი, მე-7, მე-9, მე-13 და მე-14 მუხლების თაობაზე), რომლებიც ამოღებული იქნა 1974 წლის 4 აპრილს, შეეხებოდა იმავე ფაქტებს, რამდენადაც ემყარებოდა კონვენციის მე-10 მუხლსა და 1-ლი ოქმის 1-ლ მუხლს. შესაბამისად, ისინი ცალკე საჩივრებს კი არ წარმოადგენდა, არამედ სხვებთან ერთად წარდგენილ სამართლებრივ მოსაზრებებსა და არგუმენტებს. თუმცა, კონვენციისა და მისი ოქმების დებულებები წარმოადგენდა ერთ მთლიანობას. როდესაც საქმე გადაეცემა სასამართლოს, მას შეუძლია ყურადღება მიაპყროს ყველა სამართლებრივ საკითხს, რაც კი პროცესის დროს წარმოიშობა და შეხება კომისიის ან ხელშემკვრელი სახელმწიფოს მხრიდან მისთვის განსახილველად გადაცემულ ფაქტებს. სასამართლოს, როგორც ფაქტების

სამართლებრივი კვალიფიკაციის ოსტატს, უფლება აქვს განიხილოს ისინი, თუკი ეს აუცილებლად მიაჩნია და, თუ საჭიროა, *ex officio*, მთლიანად კონვენციისა და მისი ოქმების კრილში. (იხ. მათ შორის, "*Belgian Linguistic*"-ის საქმეზე მიღებული 1968 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება არსებით საკითხებზე, სერია A, #6, გვ.30, პარაგრაფი 1, და *the De Wilde, Ooms and Versyp*, 1971 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება, სერია A, N#12, გვ.29, პარაგრაფი 49).

სასამართლო, რომელიც ითვალისწინებს ბ-ნი ჰენდისაიდის თავდაპირველ საჩივარს, ისევე როგორც სასამართლოს წინაშე გაკეთებულ ზოგიერთ განცხადებას (იხ. მათ შორის ქვემოთ 52-ე და 56-ე პარაგრაფები), მიიჩნევს, რომ მე-10 და მე-18 მუხლებისა და 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის გარდა, მან უნდა შეამოწმოს მე-14 მუხლიც. გიგი იზიარებს კომისიის აზრს, რომ 1-ლი, მე-7, მე-9, მე-13 და მე-17 მუხლები რელევანტური არ არის ამ საქმეში.

I. კონვენციის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა

42. მოსარჩელე აცხადებს, რომ იგი არის მსხვერპლი კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევისა, რომელიც მიუთითებს:

“1. ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, მოახდინოს რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, ვინაიდან ისინი განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწყესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.”

43. სხვადასხვა გასაჩივრებული ღონისძიება – მოსარჩელის სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება, სახელმძღვანელოს ასეულობით ასლსა და მატრიცაზე ყადაყის დადება და მათი შემდგომი ჩამორთმევა და განადგურება – ყოველგვარი ეჭვის გარეშე, და მთავრობას ეს არ უარყვია, წარმოადგენს “ საჯარო ხელისუფლების ჩარევას” გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში, რომელიც დაცულია ზემოთ მითითებული ტექსტის 1-ლი ნაწილით (მუხლი 10-1). ასეთი ჩარევა წარმოადგენს მე-10 მუხლის “დარღვევას”, თუკი იგი არ თავსდება მე-2 ნაწილით (მუხლი 10-2) გათვალისწინებულ გამონაკლისებში, რა საკითხიც, შესაბამისად, ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა.

44. თუ ბ-ნი ჰენდისაიდის მიერ გასაჩივრებული “შეზღუდვები” და “სანქციები” არ არღვევენ კონვენციის მე-10 მუხლს, ისინი უნდა შეესაბამებოდეს ამ მუხლის მე-2 ნაწილს, პირველ რიგში, ისინი “კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული”. სასამართლო მიიჩნევს, რომ სწორედ ასეთ შემთხვევასთან აქვს საქმე. გაერთიანებული სამეფოს სამართლებრივ სისტემაში, გასაჩივრებული ღონისძიებების კანონისმიერი საფუძველი ეფუძნებოდა 1959/64 წლების კანონებს (ზემოთ 14-18, 24-25 და 27-34 პარაგრაფები). გარდა ამისა, ეს საკამათოდ არ გაუხდია მოსარჩელეს, რომელმაც მოგვიანებით აღიარა კიდევაც, რომ ხელისუფლებამ მართებულად გამოიყენა ზემოაღნიშნული კანონები.

45. იმის დამტკიცებულად მიჩნევის შემდეგ, რომ გასაჩივრებული ჩარევა აკმაყოფილებდა მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით დაწესებულ პირველ პირობას, სასამართლომ გამოიკვლია, შეესაბამებოდა თუ არა იგი სხვა პირობებსაც. მთავრობისა და კომისიის წევრთა უმრავლესობის აზრით, ჩარევა “აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში” “მორალის დასაცავად”.

46. იზიარებს რა მთავრობის მოსაზრებასა და კომისიის ერთხმად აზრს, სასამართლო პირველ რიგში მიიჩნევს, რომ 1959/1964 კანონებს გააჩნდა მიზანდასახულობა, რომელიც ლეგიტიმური იყო მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სახელდობრ, მორალის დაცვა დემოკრატიულ საზოგადოებაში. მხოლოდ ეს უკანასკნელი განზრახვა იყო შესაბამისი ამ საქმეში, რამდენადაც ხსენებული კანონების მიზანი – ომის წარმოება “უხამს” პუბლიკაციებთან, რომლებიც განსაზღვრული იყო, როგორც “ზნედაცემისა და გარყვნის » ტენდენციის მქონე – გაცილებით უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდა მორალს, ვიდრე მე-10 მუხლს მე-2 ნაწილით დაშვებულ სხვა მიზნებს.

47. სასამართლომ ასევე უნდა გამოარკვიოს, მოითხოვდა თუ არა დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის დაცვა მოსარჩელისა და სახელმძღვანელოს წინააღმდეგ 1959/1964 კანონების საფუძველზე განხორციელებულ ღონისძიებებს. თავად ბ-ნ ჰენდისაიდს არ შეუკავებია თავი ამ კანონების გაკრიტიკებისაგან საზოგადოდ: მას ასევე გააჩნია რამდენიმე საჩივარი – კონვენციის და არა ინგლისური სამართლის გაგებით – ამ კანონების დებულებათა გამოყენების საკითხზე მის საქმეში.

კომისიის ანგარიშმა და 1976 წლის ივნისში საქმის შემდგომმა მოსმენამ სასამართლოში გამოავლინა შეხედულებებს შორის არსებული მკვეთრი განსხვავებანი ამ გადამწყვეტ საკითხზე; კერძოდ, საკითხზე, იყო თუ არა მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული “შეზღუდვები” და “სანქციები” “აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში” “მორალის დასაცავად”. მთავრობისა და კომისიის წევრთა უმრავლესობის აზრით, სასამართლო მხოლოდ იმაში უნდა დარწმუნებულიყო, რომ ინგლისურმა სასამართლოებმა იმოქმედეს გონივრულად, კეთილსინდისიერად და შეფასების თავისუფლების იმ ფარგლებში, რაც მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ხელშემკვრელი სახელმწიფოებისათვის არის დატოვებული. მეორე მხრივ, კომისიის უმცირესობა სასამართლოს ამოცანას იმაში კი არ ხედავს, რომ მან ლონდონის შიდა კვარტალური სხდომების სასამართლოს განაჩენი გადაამოწმოს, არამედ იმაში, რომ სახელმძღვანელო განიხილოს პირდაპირ კონვენციის ქრილში, და გარდა კონვენციისა, მეტი სხვა არაფრის მიხედვით.

48. სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენციით დაფუძნებული დაცვის მექანიზმი დამატებითია ეროვნულ სისტემებთან მიმართებაში, რომლებიც ადამიანის უფლებებს

უზრუნველყოფენ (1968 წლის 23 ივლისს არსებით საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილება *"Belgian Linguistic"*-ის საქმეზე, სერია A, #6, გვ.35, პარაგრაფი 10). კონვენცია, პირველ რიგში, სწორედ თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს ავალდებულებს, უზრუნველყოს მასში გაცხადებული უფლებები და თავისუფლებები. კონვენციის საფუძველზე შექმნილ ინსტიტუციებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ამ ამოცანის გამხორციელებაში, მაგრამ მათი ჩართვა ხდება მხოლოდ პაექრობითი პროცესის (contentious proceedings) მეშვეობით და ყველა შიდა სამართლებრივი მისაგებლის ამოწურვის შემდეგ (მუხლი 26).

ეს მიდგომები გამოიყენება განსაკუთრებით მე-10 მუხლის მიმართ. კერძოდ, შეუძლებელია სხვადასხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შიდა სამართალში ერთგვაროვანი ევროპული კონცეფცია არსებობდეს მორალის თაობაზე. შესაბამისი კანონებით გათვალისწინებული მოსაზრებები მორალის მოთხოვნების შესახებ განსხვავებულია სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა დროს, განსაკუთრებით კი, ჩვენს ეპოქაში, რომელიც ხასიათდება ამ საკითხზე შეხედულებების სწრაფი ცვალებადობითა და შორსმომავალი ევოლუციებით. თავიანთი ქვეყნის რეალიებთან თავიანთი პირდაპირი და უწყვეტი კონტაქტის წყალობით სახელმწიფოს ხელისუფლება, პრინციპულად უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლე, გამოთქვას აზრი ამ მოთხოვნების ზუსტი შინაარსის, ისევე როგორც “შეზღუდვებისა” და “საწილების” “აუცილებლობის” თაობაზე, რომელთაც ამ ამოცანის შესრულება ეკისრება. ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია ზედსართავი სახელი “აუცილებელი,” მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის გაგებით არ არის სინონიმი “უკიდურესი აუცილებლობისა” (მე-2 მუხლის მე-2 ნაწილში და მე-6 მუხლის 1-ლ ნაწილში), რომელიც გამოხატულია სიტყვებით “აბსოლუტურად აუცილებელი” და “მკაცრად აუცილებელი”; და, არც ფრაზისა – “იმ ზომით, რამდენადაც ამას მკაცრად მოითხოვს მდგომარეობის სიმწვავე”, მე-15 მუხლის 1 ნაწილში, მაგრამ იგი არც ისეთი მოქნილია თავისი შინაარსით, როგორიც გამოთქმები – “დასაშვები”, “ჩვეულებრივი” (მე-4 მუხლის მე-3 ნაწილი) “სასარგებლო” (1-ლი ოქმის 1-ლი ნაწილის ფრანგული ორიგინალური ტექსტი), “გონივრული” (მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი და მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი) ან “სასურველი”. ამის მიუხედავად, უწინარესად სწორედ ეროვნული ხელისუფლების საქმეა შეაფასოს რეალურობა “მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებისა”, რომელსაც “აუცილებლობა” გულისხმობს მოცემულ კონტექსტში.

შესაბამისად, მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს უტოვებს თავისუფალი შეფასების ფარგლებს. ეს ფარგლები გადაცემული აქვს როგორც შიდა კანონმდებელს (“კანონით გათვალისწინებული”), ისე სხვა ორგანოებს, მათ შორის, სასამართლოებს, რომლებიც მოწოდებულნი არიან განმარტონ და გამოიყენონ ძალაში მყოფი კანონები. (*Engel and others*, 1976 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება, სერია A no. 22, გვ. 41-42, §100; cf., მე-8 მუხლის მე-2 ნაწილისათვის, *De Wilde, Ooms and Versyp*, 1971 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება, სერია A no. 12, გვ. 45-46, §93, და *Golder*-ის საქმეზე 1975 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია A no. 18, გვ. 21-22, § 45).

49. ამის მიუხედავად, მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი არ ანიჭებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შეფასების შეუზღუდავ თავისუფლებას. სასამართლო, კომისიასთან ერთად, პასუხისმგებელია ამ სახელმწიფოთა მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფაზე (მუხლი 19); უფლება აქვს საბოლოო შეფასება მისცეს,

თუ რამდენად შეთავსებადია “შეზღუდვები და სანქციები” მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებასთან. ამრიგად, შიდა შეფასების თავისუფლება ევროპული ზედამხედველობის ხელში გადადის. ეს ზედამხედველობა შეეხება როგორც გასაჩივრებული ღონისძიების მიზანს, ისე მის “აუცილებლობას”; იგი მოიცავს არა მარტო ძირითად კანონმდებლობას, არამედ მისი გამოყენებით მიღებულ გადაწყვეტილებებსაც, მაშინაც კი, როდესაც იგი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ არის მიღებული. ამასთან მიმართებაში, სასამართლო მხედველობაში აქვს კონვენციის 50-ე მუხლი (“გადაწყვეტილება ან ... ღონისძიება, მიღებული სასამართლო ან სხვა ხელისუფლების მიერ”), ისევე როგორც თავისი პრეცედენტული სამართალი (*Engel and others*, 1976 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება, სერია A no. 22, გვ. 41-42, § 100).

სასამართლოს საზედამხედველო ფუნქციები მას ავალდებულებს, სრულიად განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს “დემოკრატიული საზოგადოებისათვის” დამახასიათებელი პრინციპების დაცვას. გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად ბურჯს, მისი პროგრესისა და თითოეული ადამიანის განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობას. მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით დაცულია არა მარტო “ინფორმაცია” ან “იდეები”, რომლებიც კეთილმოსურნეა, ანდა აღიქმება როგორც უწყინარი ანდა ინდიფერენტული, არამედ ისეთებიც, რომლებიც შეურაცხყოფელი, გამაოგნებელი ან შემაწუხებელია სახელმწიფოს ან მოსახლეობის რომელიმე ნაწილისათვის. ასეთია ფლურალიზმის, შემწყნარებლობისა და ფართო თვალსაწიერის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს “დემოკრატიული საზოგადოება”. ეს, სხვა საკითხებთან ერთად, იმასაც გულისხმობს, რომ ამ სფეროში გამოყენებული ნებისმიერი “ფორმალობა”, “პირობა”, “შეზღუდვა” ან “სანქცია” დასახული კანონიერი მიზნის პროპორციული უნდა იყოს.

სხვა მხრივ, ვინც არ უნდა ახორციელებდეს გამოხატვის თავისუფლებას, იგი თავის თავზე იღებს “მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას”, რომელთა ფარგლები დამოკიდებულია ვითარებასა და გამოყენებულ ტექნიკურ საშუალებებზე. სასამართლო ვერ შეძლებს უგულვებელყოს ამ პირის “მოვალეობები და პასუხისმგებლობა”, როდესაც იგი იკვლევს, როგორც წინამდებარე საქმეში, საკითხს, ემსახურება თუ არა “შეზღუდვები” და “სანქციები” “მორალის დაცვას”, რომელიც მას “დემოკრატიულ საზოგადოებაში” “აუცილებელს” ხდის.

50. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლოს ამოცანა კომპეტენტური ეროვნული სასამართლოების ჩანაცვლება კი არ არის, არამედ იმ გადაწყვეტილებების მე-10 მუხლის საფუძველზე გადამოწმება, რომლებიც მათ მიერ შეფასების თავისუფლების განხორციელების პირობებშია გამოტანილი.

თუმცა, სასამართლოს ზედამხედველობა ილუზორული იქნებოდა, თუკი იგი ამ გადაწყვეტილებებს მხოლოდ იზოლირებულად, სხვა გარემოებებისაგან მოწყვეტით გადაამოწმებდა. სასამართლომ საქმე უნდა შეაფასოს მთლიანობაში, მათ შორის უნდა შეაფასოს საკუთრივ პუბლიკაცია და ის მტკიცებულებები, რომლებიც მოსარჩელის მიერ შიდა სამართლებრივ სისტემაში თუ საერთაშორისო დონეზე იქნა წარდგენილი. სასამართლომ ყველა ხელმისაწვდომი მონაცემის საფუძველზე უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა შესაბამისი და საკმარისი, მე-10 მუხლის გაგებით, ის საფუძველები, რომლებიც გამოყენებული “ჩარევის” ღონისძიებების გასამართლებლად არის მითითებული. (მე-5

მუხლის მე-3 ნაწილისათვის, *Wemhoff*, 1968 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება, სერია A no. 7, გვ. 24-25, §12, *Neumeister*, 1968 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება, სერია A no. 8, გვ. 37, §5, *Stögmüller*, 1969 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია A no. 9, გვ. 39, §3, *Matznetter*, 1969 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია A no. 10, გვ. 31, §3, და *Ringeisen*, 1971 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება, სერია A no. 13, გვ. 42, §104).

51. ზემოაღნიშნული მეთოდის მეშვეობით, სასამართლომ მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე კრიტიკულად შეამოწმა გასაჩივრებული ინდივიდუალური გადაწყვეტილება, კერძოდ, ლონდონის შიდა კვარტალური სხდომების სასამართლოს განაჩენი.

აღნიშნული განაჩენი შეჯამებულია ზემორე 27-34-ე პარაგრაფებში. სასამართლომ იგი მთლიანობაში გადაამოწმა. დამატებით, მხედველობაში იქნა მიღებული სასამართლოს სხდომა და კომისიის ანგარიში, 1973 წლის ივნისიდან 1974 წლის აგვისტომდე პერიოდში კომისიის წინაშე წარდგენილი შენიშვნები და ზეპირი განმარტებები, ისევე როგორც, კვარტალური სხდომების სასამართლოში წარმოებული პროცესის ოქმები.

52. სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტორს, რომელიც მხედველობიდან არ გამორჩა 1071 წლის 29 ოტომბრის განაჩენს, კერძოდ, მკითხველთა წრეს, ვისთვისაც სახელმძღვანელო იყო გამიზნული. ის განკუთვნილი იყო ყველა ბავშვისა და მოზარდისათვის თორმეტიდან თვრამეტ წლამდე. წიგნი დაწერილი იყო პირდაპირი, კონკრეტული და მარტივი ენით და ადვილად გასაგები იყო მათ შორის ყველაზე მცირე ასაკის მკითხველისათვის. მოსარჩელემ ცხადად დაადასტურა, რომ წიგნის ფართოდ გავრცელებას გეგმავდა. შესაბამის პრესრელიზთან ერთად მან წიგნი გაუგზავნა არაერთ ყოველდღიურ გაზეთსა და პერიდულ გამოცემას გაცნობისა და რეკლამის მიზნებით. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მან დააწესა საკმაოდ მოკრძალებული გასაყიდი ფასი (ოცდაათი პენსი), მოაგვარა 50,000 ასლის ხელახალი დაბეჭდვა პირველი 20,000 წიგნის გამოსვლის შემდეგ და შეარჩია ისეთი სათაური, რომელიც ქმნიდა შთაბეჭდილებას, თითქოს იგი ერთგვარი სახელმძღვანელო იყო სკოლებში გამოსაყენებლად.

უმთავრესად, წიგნი შეიცავდა წმინდა ფაქტობრივ ინფორმაციას, რომელიც ძირითადად იყო სწორი და ხშირად სასარგებლოც კი, როგორც ეს კვარტალური სხდომების სასამართლომაც აღიარა. თუმცა, იგი, უმთავრესად კი ნაწილი სექსის შესახებ და პასაჟი სახელწოდებით “იყავი ის, ვინც ხარ” მოსწავლეებისათვის განკუთვნილ თავში (ზემორე 32-ე პარაგრაფი), ასევე შეიცავდა წინდადადებებსა და პარაგრაფებს, რომლებიც ახალგაზრდებს, თავიანთი განვითარების კრიტიკულ ეტაპზე, შეიძლებოდა აღექვათ, როგორც წახალისება, ნება მიეცათ საკუთარი თავისათვის ნაადრევად წამოეწყოთ საქმიანობა, რომელიც ზიანის მომტანი იყო მათთვის, ხოლო ზოგჯერ თვით ზოგიერთი დანაშაულის ჩადენისაკენაც კი. ამგვარ გარემოებებში, მიუხედავად გაერთიანებულ სამეფოში ეთიკისა და განათლების სფეროში არსებული შეხედულებების სიმრავლისა და მუდმივი ევოლუციისა, უფლებამოსილ ინგლისელ მოსამართლეებს, თავიანთი სამოსამართლო მიხედულების გამხორციელებისას, იმ დროს უფლება ჰქონდათ ეფიქრათ, რომ სახელმძღვანელო ზიანს მოუტანდა იმ ბავშვებსა და მოზარდებს, ვინც მას წაიკითხავდა.

თუმცა, მოსარჩელის მტკიცებით, არსებითად, “მორალის დაცვის” მოთხოვნები, ან, 1959/1964 წლების კანონების ფორმულირება რომ გამოვიყენოთ, ომის წარმოება “ზნედაცემისა და გარყვნის” ტენდენციების მქონე პუბლიაციების წინააღმდეგ, მხოლოდ საბაზი იყო ამ საქმეში. მისი მტკიცებით, სინამდვილეში ეს იყო მცდელობა, გაეჩუმებინათ მცირე-მასშტაბიანი გამომცემელი, ვისი პოლიტიკური მისწრაფებებიც საზოგადოებრივი აზრის ერთ ნაწილთან შეუთავსებელი აღმოჩნდა. მისი განცხადებით, პროცესი მიმდინარეობდა თითქმის “ისტერიულ” ატმოსფეროში, რომელიც გაღვივებული და შენარჩუნებული იყო ულტრა-კონსერვატორული ელემენტების მიერ. 1971 წლის 29 ოქტომბრის განაჩენში აქცენტის გაკეთება სახელმძღვანელოს ანტი-ავტორიტარულ ასპექტებზე (ზემორე 31-ე პარაგრაფი), მოსარჩელის თქმით, აჩვენებდა, თუ რა იდგა სინამდვილეში ამ საქმის უკან.

ბ-ნი ჰენდისაიდის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, ფაქტობრივად მართლაც ადასტურებს, რომ საზოგადოების ცალკეულ წევრთა წერილები, პრესაში გამოქვეყნებული სტატიები თუ პარლამენტის წევრთა გამოსვლები არ იყო იმისაგან შორს, ზეგავლენა მოეხდინათ გადაწყვეტილებებზე სახელმძღვანელოს კონფისკაციისა და გამომცემლის მიმართ სისხლისსამართლებრივი პროცედურის წამოწყების შესახებ. თუმცა, მთავრობამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ასეთი ინიციატივები შესანიშნავად შეიძლებოდა ახსნილიყო არა ზნელი შეთქმულებით, არამედ მოქალაქეთა გულწრფელი ემოციებით, რომლებიც ტრადიციული მორალური ღირებულებების ერთგულნი იყვნენ, მაშინ, როდესაც 1971 წლის მარტის ბოლოს წაიკითხეს ზოგიერთი საგაზეთო ამონარიდი წიგნიდან, რომელიც 1-ლი აპრილიდან უნდა გამოჩენილიყო. მთავრობამ ასევე გაუსვა ხაზი, რომ პროცესი დასრულდა რამდენიმე თვეში მას შემდეგ, რაც “კამპანია” დაგმო მოსარჩელემ და რომ იგი არ ამტკიცებდა, რომ ის შუალედურ პერიოდშიც გაგრძელდა. ზემოაღნიშნულიდან მთავრობამ დაასკვნა, რომ “კამპანია” ვერავითარი ზიანი ვერ მიაყენა საქმის მშვიდად განსჯას კვარტალური სხდომების სასამართლოში.

თავის მხრივ, სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმძღვანელოს ანტი-ავტორიტარული ასპექტები არ ყოფილა 1971 წლის 29 ოქტომბრის განაჩენით განსჯილი, რაც 1959/64 წლების კანონებთან შეუთავსებელი იქნებოდა. ეს ასპექტები მხედველობაში იქნა მიღებული მხოლოდ იმდენად, რამდენადაც, როგორც სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, მშობლების, მასწავლებლების, ეკლესიისა და ახალგაზრდული ორანიზაციების ზომიერი ზეგავლენის ძირის გამოთხრით, ისინი აძლიერებდნენ “ზნედაცემისა და გარყვნის” ტენდენციას, რაც სასამართლოს აზრით, ნაშრომის სხვა ნაწილებს უკავშირდებოდა. უცილებლად უნდა დავამატოთ, რომ ბრიტანეთის ხელისუფლებამ გადამუშავებული ვერსიის თავისუფალი გავრცელების ნება დართო იმის მიუხედავად, რომ ზემოაღნიშნული ანტი-ავტორიტარული პასაჟები მასში სრულად იქნა შენარჩუნებული და ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო ძლიერი ტერმინებითაც (ზემორე 35-ე პარაგრაფი). როგორც მთავრობამ აღნიშნა, ეს გარემოება მნელად თუ შეესაბამება პოლიტიკური ინტრიგის თეორიას.

შესაბამისად, სასამართლო იზიარებს, რომ 1971 წლის 29 ოქტომბრის განაჩენის ძირითადი მიზანი, 1959/64 წლების კანონებზე დაყრდნობით, იყო ახალგაზრდების მორალის დაცვა, რაც წარმოადგენს მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ლეგიტიმურ მიზანს. შესაბამისად, 1971 წლის 31 მარტს განხორციელებული კონფისკაცია, იმ პროცესის

შედეგის მოლოდინში, რომელიც თითქმის დაწყებული იყო, ასევე ემსახურებოდა ამ მიზანს.

53. განსახილველი რჩება სადავო ღონისძიებების, რომელიც ყადაღით დაიწყო, “აუცილებლობის” საკითხი.

მოსარჩელის აზრით, ხელისუფლების მიზანი უნდა ყოფილიყო წიგნის, ყველაზე მეტი, ერთი ან რამდენიმე ასლის გამოყენება ექსპონატად სისხლის სამართლის პროცესში. სასამართლო არ იზიარებს ამ შეხედულებას, რამდენადაც პოლიციას საკმარისი საფუძველი გააჩნდა ხელი ჩაეღო წიგნის მთელი მარაგისათვის და გაეტარებინა ეს ღონისძიება ახალგაზრდების მორალის დასაცავად საფრთხისაგან, რომლის არსებობისა თუ არარსებობის საკითხიც საქმის განმხილველ სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა. მრავალი ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ყადაღის შესაძლებლობას იმის ანალოგიურ შემთხვევებში, რაც 1959/64 წლების ინგლისური კანონებით არის გათვალისწინებული.

54. მოსარჩელემ და კომისიის უმცირესობამ წარმოადგინეს არგუმენტების წყება, რომლებიც არსებითად ასახავდა სასჯელისა და კონფისკაციის “აუცილებლობის” საკითხებს.

პირველ რიგში, მათ ყურადღება გაამახვილეს იმ ფაქტზე, რომ სახელმძღვანელოს ორიგინალური გამოცემა არ გამხდარა არავითარი პროცესის საგანი ჩრდილოეთ ირლანდიაში, მენის კუნძულზე და ნორმანდიის კუნძულებზე, მას არ მოჰყოლია მსჯავრდება შოტლანდიაში და რომ თვით ინგლისსა და უელსში, მიუხედავად 1971 წლის 29 ოქტომბრის განაჩენისა, წიგნის ათასობით ასლი თავისუფალ ბრუნვაში იყო ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე.

სასამართლო შეახსენებს, რომ 1959/64 წლების კანონების მე-5(3) ნაწილის მიხედვით, მისი მოქმედება არ ვრცელდება შოტლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიაში (ზემორე 25-ე პარაგრაფი). უწინარესად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კონვენცია, როგორც ეს განსაკუთრებით ცხადად არის ნაჩვენები მე-60 მუხლში, არასოდეს აკისრებს ხელშემკვრელი სახელმწიფოების სხვადასხვა ორგანოებს ვალდებულებას, შეზღუდონ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები. კერძოდ, არცერთ შემთხვევაში მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი არ აიძულებს მათ, დააწესონ “შეზღუდვები” ან ‘სანქციები’ გამოხატვის თავისუფლების სფეროში; არც არანაირი გზით არ აღუკვეთს მათ შესაძლებლობას, თავად განსაჯონ მათი მიზანშეწონილობა (სიტყვები “შეიძლება დაექვემდებაროს”). ჩრდილოეთ ირლანდიის, მენის კუნძულისა და ნორმანდიის კუნძულების კომპეტენტურ ხელისუფლებას, შესაძლოა, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, გააჩნდათ საგულისხმო მიზეზები, არ გაეტარებინათ ღონისძიებები წიგნისა და მისი გამომცემლის წინააღმდეგ, ისევე, როგორც ეს შეეძლო შოტლანდიის ფისკალურ პროკურორსაც; კერძოდ, მას უფლება ჰქონდა არ გამოეძახა უწყებით ბ-ნი ჰენდისაიდი პირადად ედინბურგში, მას შემდეგ, რაც შოტლანდიის კანონმდებლობის საფუძველზე უარი ეთქვა გამომცემლობა “შტაგე 1”-ის წინააღმდეგ შეტანილ საჩივარს გადამუშავებულ გამოცემასთან დაკავშირებით (ზემორე მე-19 პარაგრაფი). მათი უმოქმედობა – რისი გამორკვევაც სასამართლოს არ ევალება, და რაც თავისთავად ვერ იქნება დაბრკოლება ინგლისში ღონისძიებების გატარებისა, სახელმძღვანელოს

შემოწმებამდე რომ მიიყვანა საქმე – არ ამტკიცებს, რომ 1971 წლის 29 ოქტომბრის განაჩენი არ წარმოადგენდა პასუხს იმ რეალური აუცილებლობისა, რომლის არსებობაც ეროვნულმა ხელისუფლებამ შეფასების თავისუფლების შედეგად დაასკვნა.

ეს შენიშვნები ასევე შეეხება, *mutatis mutandis*, წიგნის მრავალი ასლის ბრუნვას ინგლისსა და უელსში.

55. მოსარჩელემ და კომისიის უმცირესობამ ასევე ხაზი გაუსვეს, რომ გადამუშავებული გამოცემა, მიუხედავად მისი მხოლოდ მცირედი განსხვავებისა პირველი ვერსიისაგან, არ გამხდარა პროცესის საგანი ინგლისსა და უელსში.

მთავრობამ ისინი დაადანაშაულა სახელმძღვანელოს ორიგინალურ ტექსტში განხორციელებული ცვლილებების მნიშვნელობის დამცირებაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ცვლილებები განხორციელდა 1971 წლის 1 ივლისს პირველის ინსტანციის სასამართლოში მსჯავრდებასა და 1971 წლის 29 ოქტომბერს სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანას შორის პერიოდში, ისინი შეეხებოდა იმ უმთავრეს პასაჟებს, რომლებზედაც მიუთითა კვარტალური სხდომების სასამართლომ, როგორც “ზნედაცემისა და გარყვნის” ტენდენციის მაჩვენებელზე. მთავრობის აზრით, საჯარო დევნის დირექტორმა მიიჩნია, რომ ამ ცვლილებებმა გაათავისუფლა იგი საჭიროებისაგან, ხელახლა აემოქმედებინა 1959/64 წლების კანონები.

სასამართლოს აზრით, პროცესის აღუძვრელობა გადამუშავებული ვერსიის მიმართ, რომელიც საკმაოდ სერიოზულად განსხვავდებოდა ორიგინალური ვერსიისაგან საკამათოდ ქცეულ თემებთან მიმართებაში (ზემორე 22-23-ე და 35-ე პარაგრაფები), სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ კომპეტენტურ ხელისუფლებას სურდა, შეეზღუდა საკუთარი თავი და რეაგირება მოეხდინა მხოლოდ იმაზე, რაც მართლაც მკაცრად აუცილებელი იყო. სწორედ ესაა ის მიდგომა, რაც სრულად შეესატყვისება კონვენციის მე-10 მუხლს.

56. ის, თუ როგორადაც მოეპყრნენ სახელმძღვანელოსა და მის გამომცემელს 1971 წელს, მოსარჩელისა და კომისიის უმცირესობის აზრით, გაცილებით ნაკლებად შეიძლებოდა მიჩნეულიყო “აუცილებლად” იმის გათვალისწინებით, რომ დიდძალი პუბლიკაცია, რომელიც ეძღვნებოდა მძიმე, წმინდა წყლის პორნოგრაფიას, დაცლილი რომ იყო ყოველგვარი ინტელექტუალური და მხატვრული ღირებულებისაგან, სავარაუდოდ, უკიდურესი ხარისხის შემწყნარებლობით სარგებლობდა გაერთიანებულ სამეფოში. ისინი გამოფენილი იყო გამვლელებისა და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობისათვის თვალსაჩინო ადგილებზე და ჩვეულებრივ, სრულიად დაუსჯელი რჩებოდა; ამგვარი ფაქტების გამო იშვიათად აღძრული სისხლისსამართლებრივი დევნები უფრო ხშირად წარუმატებლად მთავრდებოდა მსაჯულების მიერ გამოვლენილი დიდი ლიბერალიზმის წყალობით. იგივე ითქვა სექს-მაღაზიებისა და სხვა მრავალი საჯარო სანახაობის მიმართ.

მთავრობა ამას დაუპირისპირდა იქ მყოფ სხვა პირთა მიერ მხარდაჭერილი შენიშვნით იმის თაობაზე, რომ არც საჯარო დევნის დირექტორი და არც პოლიცია ამ მიმართებით უმოქმედოდ არ იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროზე სპეციალიზირებულ ჯგუფში სამუშაო ძალის დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ. უფრო მეტიც: მათი მტკიცებით, მართებულად აღძრულ პროცესთან ერთად, ყადაღა შესაბამის დროს ხშირად

გამოიყენებოდა მორიგების ("disclaimer/caution procedure") საფუძველზე (ზემოთ 26-ე პარაგრაფი).

პრინციპულად, სასამართლოს ამოცანას არ შეადგენს ერთმანეთს შეადაროს სხვადასხვა გადაწყვეტილებები, რომლებიც თუნდაც მსგავს გარემოებებში იქნა გამოტანილი დევნის განმახორციელებელი ორგანოებისა თუ სასამართლოების მიერ. იგი, ისევე როგორც მოპასუხე მთავრობა, ვალდებულია პატივი სცეს სასამართლოს დამოუკიდებლობას. უმთავრესი და უპირველესი ის გახლავთ, რომ სასამართლოს წინაშე განსახილველად არ დგას ჭეშმარიტად ანალოგიური ვითარება: როგორც მთავრობამ აღნიშნა, საქმის მასალები არ მეტყველებენ, რომ ზემოაღნიშნული პუბლიკაციები და სანახაობები, იმავე ხარისხით, როგორც სახელმძღვანელო, გამიზნული იყო (ზემოთ 52-ე პარაგრაფი), ბავშვებისა და მოზარდებისათვის, რომლებსაც მზამზარეული ხელმისაწვდომობა გააჩნდათ მასზე.

57. მოსარჩელემ და კომისიის უმცირესობამ შემდგომი აქცენტი იმაზე გააკეთა, რომ ორიგინალური დანიური გამოცემის გარდა, "წითელი წიგნის" თარგმანი გამოჩნდა და თავისუფალ ბრუნვაში იყო ევროპის საბჭოს წევრ უმრავლეს სახელმწიფოში.

ამ შემთხვევაშიც, კვლავ, ეროვნული შეფასების თავისუფლება და მე-10 მუხლში მითითებული "შეზღუდვებისა" და "საჩივრების" პირობითი ხასიათი სასამართლოს აღუკვეთს შესაძლებლობას, გაიზიაროს ეს არგუმენტი. ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა ჩამოაყალიბეს საკუთარი მიდგომები თავიანთ ტერიტორიებზე წარმოქმნილი ვითარების გათვალისწინებით; ისინი მხედველობაში იღებენ, მათ შორის, დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის მოთხოვნების დაცვის თაობაზე არსებულ სხვადასხვა შეხედულებებს, რომლებიც სჭარბობს შესაბამის საზოგადოებაში. ფაქტი, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობამ დაუშვა ამ ნაშრომის გავრცელება, არ გულისხმობს, რომ ლონდონის შიდა კვატრალური სხდომების სასამართლოს გადაწყვეტილება მე-10 მუხლთან შეუსაბამო იყო. გარდა ამისა, გაერთიანებული სამეფოს ფარგლებს გარეთ გავრცელებული გამოცემები არ შეიცავდა იმ პასაჟებს, რომლებიც 1971 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში ციტირებული იყო, როგორც "ზნედაცემისა და გარყვნის" ტენდენციის მაჩვენებელი გამოაგნებელი მაგალითები.

58. ბოლოს, 1976 წლის 5 ივნისს, საქმის მოსმენის დროს, დელეგატებმა, განმარტეს რა კომისიის უმცირესობის მოსაზრებები, განაცხადეს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, მოპასუხე სახელმწიფოს წინაშე არ იდგა საჭიროება, გაეტარებინა ისეთი დრაკონული ღონისძიება, როგორც იყო სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა, რომელიც დასრულდა ბ-ნი ჰენდისაიდის მსჯავრდებით, სახელმძღვანელოს ჩამორთმევითა და მისი შემდგომი განადგურებით. მათ განაცხადეს, რომ გაერთიანებულმა სამეფომ დაარღვია პროპორციულობის პრინციპი, რომელიც განუყოფელია "აუცილებლობის" გაგებისაგან, როდესაც არ შემოიფარგლნენ ან მოსარჩელისათვის წიგნიდან შესაბამისი ადგილების ამოშლის მოთხოვნის წაყენებით, ანდა მისი გაყიდვისა და რეკლამირების შეზღუდვით.

ზემოაღნიშნულ პირველ გამოსავალთან მიმართებაში, მთავრობამ დაასაბუთა, რომ მოსარჩელე არასოდეს დაეთანხმებოდა სახელმძღვანელოს მოდიფიცირებას, თუ ამის შესახებ სთხოვდნენ ან ბრძანებით დაავალდებდნენ 1971 წლის 1 აპრილამდე. განა ის მუდამ ენერგიულად არ უარყოფდა მის "უხამსობას"? სასამართლო, თავის მხრივ, მიიჩნევს, რომ

კონვენციის მე-10 მუხლი ნამდვილად არ ავალდებულებს ხელშემკვერელ სახელმწიფოს ასეთი წინაწარი ცენზურის განხორციელებას.

მთვარობას არ მიუთითებია, იყო თუ არა მეორე გამოსავალი შესაძლებელი ინგლისური სამართლის საფუძველზე. არც ის გამოჩნდა ცხადად, რომ ეს შესაბამისი იქნებოდა მოცემული საქმის შემთხვევაში. საეჭვოა, რაიმე აზრი ჰქონოდა უფროსებისათვის წიგნის მიყიდვის შეზღუდვას, რომელიც ახალგაზრდებისათვის იყო განკუთვნილი. სახელმძღვანელო მთლიანად დაჰკარგავდა თავის იმ შინაარსსა და დანიშნულებას, რაც მოსარჩელის აზრით, მას გააჩნდა. უფრო მეტიც. მოსარჩელეს არ გაუმახვილებია ყურადღება ამ საკითხზე.

59. მის წინაშე არსებულ მასალებზე დაყრდნობით, სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ წინამდებარე საქმის გარემოებებში მე-10 მუხლის მოთხოვნების დარღვევა ვერ იქნა დადგენილი.

II. 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის საგარაუდო დარღვევის შესახებ

60. მოსარჩელეს, მეორე რიგში, ნაგულები აქვს, რომ დარღვეულია 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი, რომელიც მიუთითებს:

“ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება ვინმეს კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

ამასთან, წინარე დებულებანი ვერ ხელყოფს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონი, რომელსაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადებისა თუ სხვა მოსაკრებლის, ანდა ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.”

61. საჩივარი შეეხება ორ სხვადასხვა ღონისძიებას, კერძოდ, ერთი მხრივ, სახელმძღვანელოს ასეულობით ასლისა და მატრიცას დაყადაღებას 1971 წლის 31 მარტსა და 1 აპრილს, და, მეორე მხრივ, მათ ჩამორთმევასა და განადგურებას 1971 წლის 29 ოქტომბრის განაჩენის შედეგად. ორივე ღონისძიება წარმოადგენდა ბ-ნი ჰენდისაიდის “საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის” უფლებაში ჩარევას. მთავრობა საკამათოდ არ ხდის ამ გარემოებას, მაგრამ, კომისიის უმრავლესობის მსგავსად, მიიჩნევს, რომ ყოველივე ამის გამართლება 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის იმ გამონაკლისებში ძევს, რომლებიც ამ მუხლის პირველ წინადადებას შეეხება.

62. გასაჩივრებული ყადაღა დროებითი იყო. იგი მხოლოდ დროებით აღუკვეთავდა მოსარჩელეს უფლებას გამოეყენებინა და ესარგებლა თავისი ქონებით, რომლის მესაკუთრედაც რჩებოდა, და რომელსაც უკანვე მიიღებდა, თუკი მის წინააღმდეგ წამოწყებული პროცესი მისი გამართლებით დასრულდებოდა.

ამ გარემოებებში სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის მეორე წინადადება არ მოდის მოქმედებაში. ეჭვი არ არის, რომ ინგლისურ ტექსტში მითითებული გამოთქმა “ქონების ჩამორთმევა”, საწინააღმდეგოში დარწმუნების საშუალებას იძლევა, მაგრამ 1-ლი მუხლის სტრუქტურა აჩვენებს, რომ ეს წინადადება, რომელიც ფრანგულად ნათარგმნი ბელგიური შესწორებიდან მომდინარეობს (“travaux préparatoires”-ის ნაკრები გამოცემა, დოკუმენტი H (61) 4, გვ. 1083, 1084, 1086, 1090, 1099, 1105, 1110-1111 და 1113-1114), გამოიყენება იმის მიმართ, ვისაც “საკუთრება ჩამოერთვა” (“privé de sa propriété”).

მეორე მხრივ, ყადაღა შეეხება “საკუთრებით სარგებლობას” და, ამდენად, ხვდება მე-2 ნაწილის მოქმედების ფარგლებში. კონვენციის მე-10(2) მუხლისაგან განსხვავებით, ეს ნაწილი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ანიჭებს ულებამოსილებას, თავად განსაჯონ ჩარევის “აუცილებლობა”. შედეგად, სასამართლომ თავი უნდა შეიკავოს კანონიერებისა და დასახული მიზნის გადამოწმებისაგან. იგი მიიჩნევს, რომ საკამათო ღონისძიება გატარებული იქნა 1959/1964 წლების კანონების მე-3 ნაწილისა და შემდგომი პროცესის შედეგად, რომელთა კანონთან შესაბამისობაც არ გამხდარა საკამათო. კვლავ, ყადაღის მიზანს წარმოადგენდა “მორალის დაცვა”, რამდენადაც ეს მიიჩნია ბრიტანეთის კომპეტენტურმა ხელისუფლებამ შეფასების უფლებამოსილების განხორციელებისას (ზემორე 52-ე პარაგრაფი). კონვენციის მე-10 (2) მუხლში გამოყენებული “მორალის დაცვის” ცნება გარშემორტყმულია “საჯარო ინტერესის” გაცილებით უფრო ფართო ცნებით 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის მეორე ნაწილის გაგებით.

ამ საკითხში სასამართლო იზიარებს მთავრობის არგუმენტებსა და კომისიის უმრავლესობის მოსაზრებებს.

63. მეორე მხრივ, სახელმძღვანელოს ჩამორთმევა და განადგურება წარმოადგენდა განსაზღვრული ქონების მესაკუთრეობის სამუდამო აღკვეთას. თუმცადა, ეს ღონისძიებები ნებადართული იყო 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, რომელიც განმარტებულია ხელშემკვრელი სახელმწიფოებისათვის საერთო იმ სამართლებრივი პრინციპის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც საგნები, რომელთა გამოყენებაც კანონით გამოცხადებულია აკრძალულად და საჯარო ინტერესებისათვის საშიშად, ექვემდებარება ჩამორთმევას მათი განადგურების მიზნით.

III. კონვენციის მე-18 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

64. ბ-ნი ჰენდისაიდის აზრით, მე-18 მუხლის საწინააღმდეგოდ, იგი დაექვემდებარა შეზღუდვებს, რომლებიც არ ემსახურება არც მე-10 მუხლსა და არც 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლში მოხსენიებულ მიზნებს.

ამ საჩივრის განხილვა მხარდაჭერილი ვერ იქნება, რამდენადაც, სასამართლომ უკვე დაასკვნა, რომ ხსენებული შეზღუდვები ემსახურება მიზნებს, რომლებიც კანონიერად არის მიჩნეული ზემოაღნიშნული ორი მუხლის საფუძველზე (მე-10 მუხლი, 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი) (ზემორე 52-ე, 62-ე და 63-ე პარაგრაფები).

IV. კონვენციის მე-14 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

65. მოსარჩელე, კომისიის წინაშე აღძრული პროცესის საწყის ეტაპზე ამტკიცებდა, რომ იგი იყო მსხვერპლი კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევისა, რომელიც მიუთითებს:

“ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნის განურჩევლად.”

66. 1074 წლის 4 აპრილს კომისიამ უარყო საჩივარი, როგორც აშკარად უსაფუძვლო. თუმცა, სასამართლოს იმ აზრისა იყო, რომ მას, კონვენციის მე-10 მუხლთან და 1-ლი ოქმის 1-ლ მუხლთან მე-14 მუხლის ერთობლიობის კონტექსტშიც (ზემორე 41-ე პარაგრაფი) უნდა შეემოწმებინა ბ-ნი ჰენდისაუდის ზოგიერთი სამდურავი, რომლებიც გამოთქმული იქნა 1974 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებამდე და მის შემდეგ, მე-14 მუხლზე მითითებითა თუ მის გარეშე, და რომლებიც აღძრავდა თვითნებურად განსხვავებული მოპყრობის საკითხს.

თუმცა, სასამართლოს წინაშე არსებული მასალებით არ დასტურდება, რომ გამოხატვის თავისუფლებითა და საკუთრების უფლებებით სარგებლობისას მან დისკრიმინაცია განიცადა. კერძოდ, მასალებით არ დგინდება, რომ იგი მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო იდევნებოდა (ზემორე 52-ე პარაგრაფი). აარც ის გამოვლინდა, რომ ის პორნოგრაფიული პუბლიკაციები და სანახაობები, რომლებიც, მისი თქმით, გაერთიანებულ სამეფოში უკიდურესი ხარისხის შემწყნარებლობით საარგებლოდა, გამიზნული იყო, იმავე ხარისხით, როგორითაც სახელმძღვანელო, ბავშვებისა და მოზარდებისათვის, და გააჩნდათ მათზე მზა ხელმისაწვდომობა (ზემორე 56-ე პარაგრაფი). და ბოლოს, საქმეში არსებული დოკუმენტებით არ დასტურდება, რომ მოსარჩელისა და მისი წიგნის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებები წარმოადგენდა მსგავს საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებებიდან გადახვევას, რათა იგი სამართლიანობის უარყოფად ანდა აშკარა გამრუდებად მიგვეჩნია (*Engel and others*, 1976 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება, სერია A, no. 22, გვ. 42, § 103).

V. კონვენციის 50-ე მუხლის გამოყენების შესახებ

67. აღიარებს რა კონვენციის 1-ლი ოქმის დარღვევას, სასამართლო ასკვნის, რომ წინამდებარე საქმეში 50-ე მუხლის გამოყენების საკითხი აღარ წარმოიშობა.

ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო, სასამართლო

1. *მიიჩნევს* ცამეტი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ კონვენციის მე-10 მუხლი დარღვეული არ არის;
2. *მიიჩნევს* ერთხმოდ, რომ 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი, აგრეთვე კონვენციის მე-14 და მე-18 მუხლები დარღვეული არ არის.

შესრულებულია ფრაგულად და ინგლისურად, ფრანგული ტექსტის ავთენტურობით, ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, ათას ცხრას სამოცდათექვსმეტი წლის დეკემბრის თვის მეშვიდე დღეს.

ჯორჯო ბალადორე პალიერი

მარკ-ანდრე ეისენი

მოსამართლეებმა მოსლერმა და ზეკიამ წინამდებარე გადაწყვეტილებას თან დაურთეს თავიანთი განცალკევებული აზრები კონვენციის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და სასამართლოს რეგლამენტის 50-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

ჯ.ბ.პ.

მ.ა.ე.

განცალკევებული აზრები არ არის გადათარგმნილი, მაგრამ არსებობს ინგლისურად და ფრანგულად გადაწყვეტილების ოფიციალურ ენებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია სასამართლოს პრეცედენტული სამართლის HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში.”

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: publishing@echr.coe.int.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2013

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2013

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int.